პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 6 მარტი, 1951 წ. № 54 (8908). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ფართოდ დავნერგოთ ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
კომუნისტების თვითგანათლების საქმეს საკმაო ხელმძღვანელობა და კონტროლი არ ეწევა (მე-2 გვერდი).
ბ. ნანიტაშვილი — გადაჭრით აღმოვფხვრათ სიმბოლიზმის ნაშთები ქართულ საბჭოთა პოეზიაში (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).
გაჩაღდა მინდვრის სამუშაოები (მე-2 გვერდი).
ახალგაზრდათა წარმატება (მე-3 გვერდი).
ქვემო სვანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნა (მე-3 გვერდი).
ქალთა პირველი სპარტაკიადა (მე-3 გვერდი).
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირში ფასების ახალ შემცირებაზე (მე-4 გვერდი).
მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის 30-ე წლისთავი (მე-4 გვერდი).

ფართოდ დავნერგოთ ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება

კანონიერი სიამაყის გრძნობით, უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით აღნიშნა ქართველმა ხალხმა თავისი ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა საქართველოს XXX წლისთავი. ამ სიამაყისა და ზეიმისათვის მას ჰქონდა საფუძველი. ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე მოწინავე ინდუსტრიულ და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად გადაიქცა.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდად განვითარდა ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობა, დაზგათმშენებლობა და მანქანათმშენებლობა, მწყობრში ჩადგნენ მძლავრი ჰიდრო და თბოელექტროსადგურები, შეიქმნა მეტალურგია.

მძიმე მრეწველობის შექმნასა და განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და ვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა, დღითიდღე ფართოვდება საშენ მასალათა წარმოება, მრეწველობის ყველა სხვა დარგი.

რესპუბლიკის მრეწველობა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, მაღალნაყოფიერი დაზგა-დანადგარებით. სისტემატურად უმჯობესდება წარმოების ტექნოლოგია, ხდება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ყოველივე ამის შედეგად ჩვენში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში სწრაფად იზრდება სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციამ შარშან 52,3 პროცენტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. სამრეწველო პროდუქციის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად განუხრელად ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც საწარმოო საშუალებებს ქმნიან. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა ახლა დიდი რაოდენობით ამზადებს მაღალი წარმადობის დაზგებსა და მანქანებს, უშვებს სამახტო მოწყობილობას, რთულ აპარატურას, დიდი რაოდენობით ადნობს ფოლადს, სასახელოდ ასრულებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს.

საქართველოს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციას, მთელი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას ქართველი ხალხი უმადლის ლენინ-სტალინის დიად პარტიას, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში დიდი გამარჯვებები მოიპოვა. მაგრამ მიღწეულით დამშვიდება ჩვენ არ გვჩვევია. წელს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. გასულ წელთან შედარებით ჩვენმა მრეწველობამ მკვეთრად უნდა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, შემდგომ შეამციროს თვითღირებულება, გააუმჯობესოს ხარისხი, აითვისოს მთელი რიგი ახალი ასორტიმენტის პროდუქციის წარმოება, დააჩქაროს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვა, გაადიდოს დაგროვება.

მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასახული ამ ამოცანების განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაზგა-დანადგარების ნაყოფიერების ამაღლებას, წარმოების ნოვატორთა მუშაობის გამოცდილების ფართოდ დანერგვას. ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, მშენებლობებსა და ელექტროსადგურებში ათასობით წარჩინებული სტახანოველი და წარმოების ნოვატორი გვყავს. თავიანთი პროფესიების საფუძვლიანად დაუფლებით, წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში გაუმჯობესების შეტანით ისინი სამ-ოთხმაგად ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. წარმოებაში ინერგება ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება. სტახანოველი მეშახტეები, ჩქაროსანი ხარატები, ზეინკლები, მჭედლები, ყველა პროფესიის მოწინავე ადამიანები თავიანთი მუშაობის გამოცდილებას ხალისით გადასცემენ მათთან მომუშავეებს, მოხსენებებითა და ლექციებით გამოდიან მუშათა აუდიტორიის წინაშე.

ქარხანა „დაზგის" ახალგაზრდა მღარავი ა. ქუძსიაშვილი, რომელიც ჩქაროსნული ხელსაწყოთი მუშაობს, გამომუშავების დღიურ ნორმებს სამმაგად ასრულებს. განვლილ ორ თვეში მან ხუთი თვის გეგმის შესრულება უზრუნველყო. ამავე საწარმოს სახელმოხვეჭილმა ხარატმა პ. ზახაროვმა, რომელმაც თავისი სახარატო დაზგა გადააკეთა, მნიშვნელოვნად გაადიდა ლითონის ჭრის სისწრაფე. ამის შედეგად ის რვა საათში ნორმით გათვალისწინებული 10-12 დეტალის ნაცვლად, 30 დეტალს ამზადებს. ამ წარჩინებული სტახანოველის მეთოდით ახლა საამქროში თორმეტი ხარატი მუშაობს. თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მექანიკოსის ი. ნიკოლაიშვილის მეთოდს იყენებენ ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მექანიკოსები, რომლებმაც მანქანების მოცდენა თითქმის ერთისამად შეამცირეს.

შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს დედაქალაქის კიროვის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნებში, მაუდ-კამვოლისა და აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკებში, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში, სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია იმ დიდ გზაზე, რომელიც ამ მოძრაობამ უნდა განვლოს. იმის მიღწევა, რომ წარმოების თვითეული მუშა სრულყოფილად დაეუფლოს თავის პროფესიას, საფუძვლიანად აითვისოს ის დაზგა-დანადგარი, რომელზეც თვითონ მუშაობს, მანქანისაგან მიიღოს იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია, ამავე დროს თავისი მუშაობის გამოცდილება სხვებსაც გადასცეს, ფრიად სერიოზული მნიშვნელობის ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების მოვალეობაა უფრო ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ ძირეულ პროფორგანიზაციებს. პროფკავშირთა ხელმძღვანელი მუშაკები უშუალოდ უნდა დაინტერესდნენ წარმოებაში ნოვატორული მეთოდების დანერგვით, გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით ხშირად მოიწვიონ წარჩინებულ სტახანოველთა საწარმოთაშორისო თათბირები, ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში სტახანოველთა ინდივიდუალური შეჯიბრება.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხთა გენიალური ბელადი დიდი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ამაღლებისათვის. ამ მზრუნველობის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირება, რაც მიმდინარე წლის პირველი მარტიდან განხორციელდა. საქართველოს მშრომლები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის ამ მორიგ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას. ხალხმრავალ კრებებსა და საუბრებში, რომლებიც ფასების შემცირების შესახებ დადგენილების გაცნობას მიეძღვნა, საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს გაორკეცებული ენერგიით იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სათავეში ჩავუდგეთ მშრომელთა ამ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით დავამთავროთ სამეურნეო წლის პირველი კვარტალი.

კომბაინების რემონტი

საქართველოს მტს-ებში 1 მარტისათვის კომბაინების რემონტის რესპუბლიკური გეგმა შესრულებული იყო 30 პროცენტით. ყველაზე წინ არის დილმის მტს-ი, დავალება შესრულებული აქვს 80 პროცენტით.

თელეთის მტს-ში გეგმა 60 პროცენტით შეასრულეს, წითელწყაროს მტს-ში — 56,9, მარნეულის — 52,6, ქარელისა და კასპის—50, კაჭრეთის—46,4, თელავის — 42,9, ხაშურის, მარტყოფისა და საგარეჯოს —40, ახალსოფლის — 38,5, დუშეთის, ასურეთის, გარდაბნისა და ბოლნისის — 33,3, გორის, აფენისა და წალკის—25, დმანისისა და მცხეთის—14,3, ენისლისა და გურჯაანის — 22,2, ულიანოვკის — 24,1, წნორისა და ივრის—27,3, ალაზნის—15,2, შირაქის — 20,9, ყვარლის - 30,8, ლაგოდეხის — 20, შულავრის მტს-ში — 11,1 პროცენტით.

რემონტიდან კომბაინი სრულებით არ გამოუშვიათ სართიჭალის, ქაჩაგნის, ახმეტის, აგარის, შინდისის და სხვა მტს-ებს.

შირაქის მტს-მა 1 მარტამდე შესაკეთებელი 29 კომბაინიდან მხოლოდ 9 კომბაინი შეაკეთა, ულიანოვკის მტს-მა 19 კომბაინიდან — 7 კომბაინი.

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული ღონისძიება

რუსთავი. (საკ. კორ.). ამას წინათ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის დირექტორმა რ. მონასელიძემ, მთავარმა ინჟინერმა მ. ბარბაქაძემ, საქვაბე საამქროს უფროსმა ა. ჩუბინიძემ და სამანქანო საამქროს უფროსმა ვ. რომანიუკმა შეიმუშავეს კარგი რაციონალიზატორული წინადადება.

თბოელექტროცენტრალში სათბობის წვის შედეგად დიდძალი ნაცარი გროვდება. სადგურის ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა მისი დროულად გატანა. აქამდე ნაცრის გატანა ხდებოდა სპეციალურ მილში გაშვებული მტკვრიდან ორი ტუმბოთი მიწოდებული წყლის წნევის მეშვეობით. ტუმბოების მუშაობა კი იწვევდა ელექტროენერგიისა და წყლის ხარჯს.

რაციონალიზატორთა წინადადების მიხედვით ტურბინის კონდენსატორში საცირკულაციო ტუმბებით შემავალი გამაცივებელი მტკვრის წყალი, რომელსაც წინათ ისევ მტკვარშივე უშვებდნენ, მილსადენებისა და სათანადო ურდულების დაყენების საშუალებით გაუშვეს ნაცრის გასატან მილში. ესე იგი, კონდენსატორში ნამუშევარი წყლის წნევა გამოიყენეს იმისათვის, რომ მილში ნაცრის გატანა მოხდინათ ტუმბოების დაუხმარებლად.

აღნიშნული წინადადების განხორციელებამ უზრუნველყო ორი მძლავრი ტუმბოს განთავისუფლება თავისი ელექტრომრავებით. გარდა ამისა, საგრძნობლად გაადვილდა დანადგარების მომსახურება. ყოველივე ამან გამოიწვია ელექტროენერგიისა და წყლის დიდი ეკონომია, რაც წელიწადში 800 ათას მანეთამდე აღწევს.

აღნიშნული რაციონალიზატორული წინადადება გაიგზავნა მოსკოვში, საკავშირო კონკურსზე წარსადგენად.

სოფლების რადიოფიკაცია

ახალციხე. (ჩვენი კორ.). რაიონის დაბა ვალეში დამთავრდა რადიოკვანძის მშენებლობა. სწრაფი ტემპით წარმოებს ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეთა ბინებში რადიოსატრანსლაციო ხაზების გაყვანა.

დღემდე რაიონის 21 კოლმეურნეობაში გაყვანილია რადიოსატრანსლაციო ქსელი, ხოლო მთლიანად რადიოფიცირებულია სოფელ ურავლის, საძელის, კლდის და ელიაწმინდის კოლმეურნეთა ბინები.

სიღნაღი. (საკ. კორ.). სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რაიონის მთლიანი რადიოფიცირება. სოფლებში — ქვემო მაღაროში, ქვემო ბოდბეში, ულიანოვკაში, ნუკრიანში, ზემო მაღაროში, ზემო ბოდბეში, ძველ ანაგაში, ტიბაანში, ვაქირში, წნორსა და საქობოში გაყვანილია რადიოხაზი. კოლმეურნეები დიდ მონდომებას იჩენენ რადიოკვანძის შემდგომი გაფართოების საქმეში.

უახლოეს დროში დამთავრდება რადიოხაზის მშენებლობა ჯუგაანში, ბოდბისხევსა და ქვემო მაჩხაანში, რის შემდეგ სიღნაღის რაიონი მთლიანად რადიოფიცირებულ იქნება.

ახალი მტს-ი ტყვიავში

გორი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობების უკეთ მომსახურების მიზნით სოფელ ტყვიავში შეიქმნა ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური. ამჟამად მიმდინარეობს მტს-ის მშენებლობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი (მარცხნიდან-მარჯვნივ): გ. ნატროშვილი (ლაგოდეხის რაიონი), ნ. მამაიაშვილი (წითელწყაროს რაიონი), ვ. ცისკარიშვილი (ყვარლის რაიონი), შ. მელიშვილი (მცხეთის რაიონი) და თემურ თარბა (გუდაუთის რაიონი).
ფოტო რ. აკოფოვისა

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ 1951 წელს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

ხაშურმა აგარა გამოიწვია

ხაშური. (საკ. კორ.). კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მექანიზატორები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვას საქართველოს კოლმეურნე გლეხობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი.

ხაშურელმა მექანიზატორებმა იკისრეს 3.000 ჰექტარის გადამეტებით შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, შეამცირონ თვითეული ჰექტარის მოხვნის ღირებულება 2,5 მანეთით, თვითეული ტრაქტორის რემონტისა და ტექნიკური მოვლის ხარჯები — 10 პროცენტით.

მოწინავე ტრაქტორისტმა ჯამალ კუბლაშვილმა პირობა დადო ნაცვლად 8 ჰექტარისა ყოველდღიურად მოხნას 17 ჰექტარი და შეჯიბრებაში გამოიწვია ტრაქტორისტი ა. ოსკანოვი და ი. სარალიძე.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდების მიზნით ხაშურელმა მექანიზატორებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აგარის მტს-ის მექანიზატორები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა გულდასმით განიხილეს სოფელ ტეზრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე. კოლმეურნეობის წარჩინებულმა მერგოლურმა ქსენია ხარატიშვილმა პირობა დადო სამი ჰექტარი ურწყავი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიწიოს 600 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარზე — 800 ცენტნერი.

იკისრეს ახალი ვალდებულებანი

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვის პასუხად კოლმეურნეები გადიდებულ ვალდებულებას იღებენ. ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს მიმართა გააცნო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯ. ხომერიკმა.

კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა: წელს გააშენოს 26 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, მოსპოს პლანტაციებში სიმეჩხრე, 3.000 გრძივ მეტრზე გააშენოს ქარსაცავი ზოლი, ხოლო 4.000 გრძივ მეტრზე — ცოცხალი ღობე, გვალვიან ამინდში მოაწყოს 70 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მორწყვა, თოხნა და კულტივაცია ჩაატაროს 4-ჯერ, უზრუნველყოს ყველა სახის აგროღონისძიებათა გატარების შედეგად ყოველ ჰექტარზე 4.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოყვანა, ნაცვლად შარშან მიღებული 3.035 კილოგრამისა.

კოლმეურნეებმა აგრეთვე იკისრეს ყოველ საფურაკე ძროხაზე მიიღონ 1.000 ლიტრი რძე, 1 ჰექტარზე გააშენონ ჩხავერის ჯიშის ვენახი, მოაწყონ ვენახის სანერგე და გამოიყვანონ 40.000 ძირი ნერგი.

ორი მტს-ის შეჯიბრება

ცხაკაია. (საკ. კორ.). მტს-ის კოლექტივმა (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ვ. კუპრეიშვილი, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ბ. გაბუნია) გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება წელს უხვი მოსავლის მისაღებად. მტს-ის მუშაკებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი: ცხაკაიელი მექანიზატორები წელს 14.000 ჰექტარის ნაცვლად პარობით ხვნაზე გადაყვანით მოხნავენ 22.500 ჰექტარს, აქედან 1.500 ჰექტარს 20 აპრილამდე, ჩაის გასაშენებლად 1 ნოემბრამდე ამოძირკვავენ 100 ჰექტარ ფართობს; თვითეული ტრაქტორის საშუალო დატვირთვას გაადიდებენ 450 ჰექტარამდე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა.

ცხაკაიის მტს-მა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აბაშის მტს-ის კოლექტივი.

სოფლის კეთილმოწყობა

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფელ ძველი ანაგის 8-წლიანი სკოლა შეუფერებელ ბინაში იყო მოთავსებული. წვრილი კოლმეურნეობები ახალი სკოლის აშენებას ვერ ახერხებდნენ. წელს სოფელში არსებული 3 კოლმეურნეობა ერთ კოლმეურნეობად გაერთიანდა.

მას შემდეგ სოფლის კეთილმოწყობისათვის ბევრი რამ გაკეთდა. კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით და საკოლმეურნეო ტრანსპორტის გამოყენებით აშენდა ორსართულიანი სასკოლო შენობა 12 ოთახით, სადაც უკვე მიმდინარეობს სწავლა. სოფლის ბიბლიოთეკას მიეცა უფრო ფართო და ნათელი ბინა.

ამუშავდა სახერხი ქარხანა ელექტროენერგიის ბაზაზე. წესრიგზე მოყვანილ იქნა წყალსადენი და სხვ.

ამჟამად გაჩაღებულია მუშაობა, რათა 1951 წლისათვის დაამთავრონ კულტურის სახლისა და საავადმყოფოს მშენებლობა.

მოწინავე სასოფლო კლუბი

დუშეთი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ანანურის სასოფლო კლუბი (გამგე ა. ბედოშვილი). კლუბთან არსებობს დრამატული, ლიტერატურული, მომღერალ-მოცეკვავეთა და ჭრაკერვის შემსწავლელი წრეები, რომლებშიც ასამდე კოლმეურნეა გაერთიანებული. კლუბის სცენაზე ხშირად გამოდიან თვითმოქმედი წრეები. აწყობენ წარმოდგენებს, მართავენ საღამო-კონცერტებს.

საინტერესო მუშაობას ეწევა კლუბთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა. ბრიგადის წევრები მეზობელ კოლმეურნეობებშიც მართავენ ლექცია-მოხსენებებს, კონცერტებს.

გაიზარდა კლუბის ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი. ბიბლიოთეკას სამასზე მეტი კოლმეურნე მკითხველი ჰყავს. ამ დღეებში კლუბის ლიტერატურულმა წრემ მოაწყო მკითხველთა კონფერენცია ს. ბაბაევსკის რომანის „ოქროს ვარსკვლავის კავალერის" განსახილველად. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მკითხველებმა ს. გოგილაშვილმა, მ. ვართანოვმა, დ. მაჭავარიანმა და სხვებმა. შარშან მოეწყო ა. ფადეევის რომანის „ახალგაზრდა გვარდიისადმი" მიძღვნილი კონფერენცია.

კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა

საგარეჯო. (საკ. კორ.). მიმდინარეობს საგარეჯოს კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა, რისთვისაც გამოყოფილია 3 ჰექტარი ფართობი. პარკისათვის დამზადებულია ლამაზი მოაჯირი არქიტექტორ ა. ქურდიანის პროექტის მიხედვით. უახლოეს ხანში დამთავრდება პარკის ადმინისტრაციული სახლისა და ბიბლიოთეკის მშენებლობა.

პარკის მშენებლობა ერთ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდება.

აიგეს კლუბი და კანტორა

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ ამბროლაურის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ ამ დღეებში დაამთავრა კლუბისა და კანტორის ორსართულიანი შენობის აგება. პირველ სართულში მოთავსდება კლუბი, რომელიც 250 მაყურებელს დაიტევს. გარდა სცენისა და კარგად მოწყობილი მაყურებელთა დარბაზისა, კლუბს ექნება ფოიე, ბიბლიოთეკა და ოთახები საწრეო მუშაობისათვის. მეორე სართულში მოთავსდება კოლმეურნეობის კანტორა.

ბულგარეთში გამოვიდა ი. ბ. სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ"

სოფია, 3 მარტი. (ტასსი). [illegible]

პარიზს ჩავიდა საბჭოთა დელეგაცია ომის საწინააღმდეგო წარმომადგენელთა თათბირზე

პარიზი, 3 მარტი. (ტასსი). [illegible]

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში იქმნება მეცნიერებათა აკადემია

2 მარტს აკადემიკოს ა. ნ. ნესმეიანოვის თავ- [illegible]

პარტიული ცხოვრება

კომუნისტების თვითგანათლების საქმეს საკმაო ხელმძღვანელობა და კონტროლი არ ეწევა

შემოდგომაზე, პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტების დროს ტყიბულის რაიონის 130 კომუნისტმა — უმეტესად ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებმა გამოთქვეს სურვილი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით აემაღლებინათ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონე. ბევრი მათგანი მართლაც ბეჯითად მუშაობს. მაგალითად, მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. პ. კუბლაშვილი სისტემატურად მეცადინეობს თავისი თეორიული ცოდნის გასაღრმავებლად. შედგენილი აქვს ინდივიდუალური მუშაობის გეგმა. სწავლობს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომებს. ამჟამად მუშაობს ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაშრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" შესასწავლად. ამას წინათ პ. კუბლაშვილმა მოამზადა და თეორიულ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი".

— მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება, — განაცხადა კომუნისტმა პედაგოგმა ქალმა რ. მხეცაძემ, —დიდად მეხმარება მუშაობაში, მიადვილებს პრაქტიკული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაში გარკვევას.

ამხ. რ. მხეცაძემ უკვე შეისწავლა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", ვ. ი. ლენინის ნაშრომები „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?", „რა ვაკეთოთ?", „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ამასთან ერთად იგი კითხულობს მხატვრულ ლიტერატურასაც.

წიგნზე კარგად მუშაობენ ექიმები შ. ქათამაძე, ლ. აბრამოვა, ალ. გაბრიაძე, პედაგოგი ნ. ჭანტურიძე და სხვ.

მაგრამ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დიდი ნაწილი მხოლოდ სიაში ირიცხება, ფაქტიურად კი არაფერს აკეთებს.

მაგალითად, სამთო ინჟინერი, სტალინის სახელობის შახტის უბნის უფროსი ლ. გოქსაძე, მისივე განცხადებით, სისტემატურად მეცადინეობს დამოუკიდებლად. საუბრის დროს მან ვერ თქვა, როდის დაწერა ლენინმა გენიალური ნაშრომი „რა ვაკეთოთ?" და პარტიის აგების როგორი გეგმა წამოაყენა მასში. მისივე განცხადებით, მან თითქოს უკვე შეისწავლა ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", მაგრამ „არაფერი ახსოვს". უცნაურია, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ის კონსულტანტად გამოჰყო.

კომუნისტი ლ. გოქსაძე იმის გამო, რომ არ ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისათვის, მუშაობაშიც ჩამორჩება. უბანი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, სისტემატურად ვერ ასრულებს საწარმოო დავალებას. უბნის კოლექტივთან ის იშვიათად აწყობს საუბარს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხების შესახებ, ვერ რაზმავს კოლექტივს მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

ცნობილია, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სამთო-სამრეწველო სკოლებს ყოველმხრივ მომზადებულ მეშახტეთა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. სამთო-სამრეწველო სკოლის ხელმძღვანელი მუშაკები უნდა სწავლობდნენ სისტემატურად, იღრმავებდნენ იდეურ დონეს. სამწუხაროდ, ასე როდია ტყიბულის მესამე სამთო-სამრეწველო სკოლაში. პარტიული ორგანიზაციის მდივანი დ. ჩიქოვანი არ მუშაობს თავისი თეორიული ცოდნის ასამაღლებლად. სასწავლო წლის დასაწყისში ის სწავლობდა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელ მაღალი ტიპის წრეში, მაგრამ ხშირად აცდენდა მეცადინეობას. ამიტომ გადავიდა დამოუკიდებლად მომუშავეთა რიგებში, რათა ამით დაეფარა თავისი სრული უმოქმედობა. მიმდინარე სასწავლო წელს დ. ჩიქოვანს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა არც ერთი ნაშრომი არ წაუკითხავს. წელს წიგნისათვის ხელი არ მოუკიდია ამავე სკოლის დირექტორს ს. ცერცვაძეს და მეექვსე სამთო-სამრეწველო სკოლის დირექტორს გ. დვალს. ბუნებრივია, რომ აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მოისუსტებს.

ცნობილია, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შეუსწავლელად არ შეიძლება წარმატებით ვუხელმძღვანელოთ მეურნეობის რომელიმე დარგს. ის ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც არ იმაღლებს იდეურ-თეორიულ დონეს, უეჭველად ჩამორჩება ცხოვრებას, კუდში მისჩანჩალებს მოვლენებს, და ხშირად უპრინციპო საქმოსნად იქცევა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ტყიბულშახტმშენის ტრესტის მმართველის მოადგილე სამეურნეო ნაწილში ლ. სტვილია. ის არასერიოზულად ეკიდება პოლიტიკური თვითგანათლების საქმეს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასაც. შახტმშენებელთა ბევრი საცხოვრებელი ბინა არ თბება, არც ინვენტარითაა უზრუნველყოფილი. საერთო საცხოვრებლებში ანტისანიტარიაა. ხშირად ოთახში, რომელშიც რამდენიმე მუშა ცხოვრობს, მხოლოდ ერთი სკამია. სამუშაოზე ახლადმიღებულ მუშაკს უყურადღებოდ ეკიდებიან, მათდამი მზრუნველობას არ იჩენენ. ლ. სტვილია რამდენიმე დღეობით ტოვებს სამუშაოს და თავის პირად საქმეებზე დადის სხვა რაიონებში, არაგულისხმიერად ეკიდება შახტმშენებელთა საჩივრებსა და სიგნალებს. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ გასულ წელს სამთო-სამრეწველო სკოლადამთავრებული 232 შახტმშენებლიდან ბევრმა მიატოვა სამუშაო.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ზოგიერთი ამხანაგი ისე ადგენს ინდივიდუალური მუშაობის გეგმებს, რომ ანგარიშს არ უწევს თავისი მომზადების დონეს. მაგალითად, სტალინის სახელობის შახტის მოძრაობის უბნის უფროსმა, კომუნისტმა მ. ვერულაშვილმა წელს გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემუშავნა და გეგმაში შეიტანა ლენინისა და სტალინის 18 ნაშრომის შესწავლა. მას გეგმით განზრახული ჰქონდა თებერვალში შეესწავლა ვ. ი. ლენინის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", „ერთა თვითგამორკვევის შესახებ" და „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". ცხადია, ეს გეგმა მან ვერ შეასრულა. პარტიის რაიონული კომიტეტი ნაკლებად ეხმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს ინდივიდუალური გეგმების შედგენაში.

პარტიის ტყიბულის რაიკომმა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად 16 კონსულტანტი გამოჰყო. ბევრ მათგანს უმაღლესი განათლება და მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მაგრამ პარტიის რაიკომის მიერ არასაკმაო კონტროლის გამო კონსულტანტთა მეტი ნაწილი სრულ უმოქმედობას იჩენს, არ აწყობს არც ჯგუფურ და არც ინდივიდუალურ კონსულტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ კონსულტანტებს საკმაოდ არ ეხმარება რაიკომის პარტიული კაბინეტიც.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად ნაკლები რაოდენობით იკითხება ლექციები.

საჭიროა პარტიის ტყიბულის რაიკომმა გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი, სისტემატური კონტროლი გაუწიოს მათს მეცადინეობას.

ვ. ცირეკიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მეტეხის აგურის ქარხანა ამუშავების წინ

კასპი. (საკ. კორ.). დამთავრდა მეტეხის აგურის მექანიზებული ქარხნის მშენებლობა. ამჟამად წარმოებს აგრეგატების საწარმოო გამოცდა მათი საექსპლოატაციოდ გადაცემის მიზნით.

მეტეხის ქარხანა ერთ-ერთი უმძლავრესი საწარმოა საბჭოთა კავშირის აგურის ქარხნებს შორის. მისი წარმადობა წელიწადში 27 მილიონ ცალ აგურს უდრის. ქარხანაში სხვა წნეხებს გარდა დაიდგა ინჟინერ ამხ. ა. მელიას კონსტრუქციის აგურის მშრალი წნეხვის ერთი წნეხი. უახლოეს ხანში დასადგმელად მიიღებენ ასეთივე სისტემის მეორე წნეხს.

ქარხანას აქვს გვირაბის სისტემის ღუმელები, თიხის საშრობი, მექანიკური სარემონტო სახელოსნო, სხვადასხვა საიარაღო საწყობები. ქარხნის ტერიტორია შემოღობილია აგურის კედლით.

მშენებლობა საჭირო აგურითა და კრამიტით უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი ხელოსნის ბაზაზე მოწყობილი მშრალი წნეხვის ერთი წნეხით, რომელიც წელიწადში ორნახევარ მილიონ ცალ აგურს აწვდიდა მშენებლებს.

ქარხნის მშენებლობას აქტიურ დახმარებას უწევდნენ კასპის რაიონის სოფელ მეტეხის, დოესის, ქვემო გომის, ხოვლეს, ზემო ხანდაკისა და სხვა კოლმეურნეობათა წევრები. კოლმეურნეთა მონაწილეობით მნიშვნელოვანი რაოდენობით შესრულდა მიწის სამუშაოები.

ერთი წლის წინათ მტკვრის მარცხენა ნაპირას აშურიანის ტრიალ მინდორზე მხოლოდ რამდენიმე ახლად აგებული საცხოვრებელი სახლი იყო. ახლა აქ მშვენიერი მუშათა დაბაა ლამაზი საცხოვრებელი სახლებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებით. ქარხნის მშენებელთა კოლექტივი წელს დამატებით აგებს საცხოვრებელ სახლებს, ადმინისტრაციულ სახლს, სკოლის, ამბულატორიისა და საბავშვო ბაღის შენობებს. გაჩაღდება საცხოვრებელი დაბის ქუჩების მოასფალტება, გამწვანება და კეთილმოწყობა.

გრძელვადიანი სესხი კოლმეურნეობებს

ონი. (საკ. კორ.). შარშან სახელმწიფო ბანკის ონის რაიონულმა განყოფილებამ რაიონის კოლმეურნეობებს სასაქონლო ფერმების მშენებლობისათვის და ჯიშიანი პირუტყვის შესაძენად სესხად მისცა 457 ათასი მანეთი, ხეხილის ბაღების გაშენებისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის — 92.425 მანეთი, ელექტროფიკაციის გაფართოებისათვის 220 ათასი მანეთი, სხვადასხვა საჭიროებისათვის — 87.800 მანეთი.

გრძელვადიანი სესხი დიდი რაოდენობით მიიღეს ფარახეთის ბერიას, უწერის ორჯონიკიძის, ნიგავზების პირველი მაისის, ქვემო ბარის ლენინის, ნაკიეთის ბერიას და ჟაშქვის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

გაჩაღდა მინდვრის სამუშაოები

მზიანმა და თბილმა ამინდმა ხელი შეუწყო სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებს გაეჩაღებინათ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ დროზე შეაკეთა ტრაქტორი, 40-მდე გუთანი და ფარცხი, კარგად გამოაზამთრა სამოცდახუთი უღელი მუშა-პირუტყვი.

ახლა კოლმეურნეობის მთელი ძალები გამოყენებულია პლანტაციებისა და მინდვრის სამუშაოებზე. მიმდინარეობს ყამირი მიწების ათვისება, ჭაობების ამოშრობა, ჩირგვებისა და ბუჩქნარების გაწმენდა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების სადრენაჟო ქსელის წესრიგზე მოყვანა, სათამბაქოე და სასიმინდე ნიადაგის ხვნა.

კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს მოიწიონ უხვი მოსავალი. ამისათვის მათ იანვარ-თებერვალში 90 ჰექტარი მოხნეს, საკმაო რაოდენობით შეიტანეს სუპერფოსფატი. ნაადრევი და ჯიშიანი თამბაქოს გამოყვანის მიზნით მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოაწყეს თესვა სათბურებში.

თამბაქოს დასარგავად ნიადაგი მთლიანად მოამზადა იმ ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი შოთა ჯიჯელავა ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გადაწყვიტა წელს 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 22 ცენტნერი თამბაქო, ნაცვლად [illegible] 14 ცენტნერისა.

ლენინის [illegible] კოლმეურნეობის [illegible], სტახანოველებმა ა. კარაგოზიანმა, ო. კაპიკიანმა და სხვებმა იკისრეს ჰექტარზე მოიყვანონ 25 ცენტნერი თამბაქო თვითეულმა.

მეციტრუსეები წარმატებით მუშაობენ ყინვისაგან დაზიანებული ციტრუსოვანთა ნარგავების აღდგენისათვის. მოეწყო პლანტაციების საზამთრო დაბარვა სასუქის შეტანით, გაწმენდილია 2.700 მეტრი სადრენაჟო ქსელი. ახალი პლანტაციების გასაშენებლად მომზადებულია 19 ჰექტარი ნიადაგი. გამოყვანილია 91 ათასი სტანდარტული ნერგი, რაც სარგავი მასალით უზრუნველყოფს მეზობელ კოლმეურნეობებსაც. გაზაფხულზე კოლმეურნეობა 7,5 ჰექტარზე გააშენებს ახალ სანერგეს.

კოლმეურნეობის მევენახეობის რგოლმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ივანე მირცხულავა ხელმძღვანელობს, წესრიგზე მოიყვანა ვენახის პლანტაციები, დაამთავრა გასხვლა და ბარვა. რგოლის წევრებმა პირობა დადეს 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 170 ცენტნერი ყურძენი.

ს. შონია
დ. დადიანი
„კომუნისტის" კორესპონდენტები

სასუქების გაზანა ჭიანურდება

დაუშვებელ უპასუხისმგებლობას იჩენს ზოგიერთი კოლმეურნეობა სასუქების დროულად გატანისა და მათი გამოყენების საქმეში. საქართველოს სოფლმომარაგების გორის ბაზის აგარის პუნქტში 600-მდე ტონა სხვადასხვა სახის მინერალური სასუქია. ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ აგარის პუნქტს ჯერ კიდევ 24 იანვარს გაუგზავნა კოლმეურნეობებზე სასუქების განაწილების სია, მაგრამ საწყობიდან სასუქების გატანას არ ჩქარობენ. კიდევ მეტი. რაიონის ბევრ კოლმეურნეობას შარშან მიცემული სასუქებიც არ გაუტანია. სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობას დღემდე არ გაუტანია გასული წლის შემოდგომაზე ნათესებში შესატანი 231 ცენტნერი სასუქი, ხოლო წელს — 1.530 ცენტნერი. ქარელის რაიონის სოფელ ღოღეთის კოლმეურნეობას შარშან გასატანი დარჩა 125 ცენტნერი სასუქი, მიმდინარე წელს — 1.145 ცენტნერი. სასუქების დროულად გატანის საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან აგრეთვე სოფელ დირბის და მოხისის კოლმეურნეობები.

გორის რაიონის სოფელ შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას შარშან მიცემული სასუქები კვლავ აუთვისებელი აქვს, ხოლო წელს პირველ კვარტალში 173 ტონა სასუქის გატანა ჯერ არ დაუწყია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ეგნატაშვილი უდარდელად ეკიდება ნათესებში სასუქების შეტანისა და გამოყენების საქმეს. სოფელ ფხვენისის კოლმეურნეობას 150 ტონა სასუქიდან გატანილი აქვს მხოლოდ ხუთი ტონა, სოფელ მეღვრეკისის კოლმეურნეობას — 7 ტონა. სრულიად არ გაუტანია სასუქი სოფელ დიცის ახალხიზის, ზერტის, ზემო ხვითის და სკრის კოლმეურნეობებს.

სოფლმომარაგების გორის ბაზაში ყურადღება არ ექცევა სასუქების შენახვის საქმეს. ბაზა უზრუნველყოფილი არ არის სასუქების შესანახი საწყობებითა და ფარდულებით. სასუქები და ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო მანქანები გარეთ წლობით ყრია და ფუჭდება. მაგალითად, ხორბლის დამხარისხებელი, სანიავებელი, სათესი მანქანები, გუთნები, კულტივატორები და სხვა მანქანები, რომლებიც კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის რაიონების კოლმეურნეობებზეა განაწილებული, ორ-სამი წელია გარეთ ყრია. კოლმეურნეობები აჭიანურებენ მანქანების გატანას. ზოგიერთი კოლმეურნეობა უარს აცხადებს მანქანების წაღებაზე იმ მოტივით, რომ „ვერ მოახერხა" წაღებული მანქანების აწყობა და გამოყენება. ამ მოტივით მანქანები არ წაუღია მაგალითად სოფელ მერეთის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე აგრონომი ვ. მეცხვარიშვილი).

ახალი მანქანების ათვისების საქმეში კოლმეურნეობებს ნაკლებად ეხმარებიან სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის რაიონების სოფლის მეურნეობის განყოფილებები.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გადაჭრით აღმოვფხვრათ სიმბოლიზმის ნაშთები ქართულ საბჭოთა პოეზიაში

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის ბოლშევიკების XX კონფერენცია, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში შედგა, უეჭველია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის, განსაკუთრებით იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

კონფერენციამ მთელი სიღრმით გააშუქა ის ამოცანები, რომლებიც საქართველოს ბოლშევიკების წინაშე დგას ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის ისტორიული ნაშრომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული ყურადღება კონფერენციამ მიაქცია ქართული ენის შემდგომი განვითარებისა და გამდიდრების საკითხს, გამოამჟღავნა ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და დასახა მომავალი საბრძოლო ამოცანები.

კონფერენციაზე სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ ზოგიერთ ჩვენს გამოჩენილ მწერალს, ლიტერატურათმცოდნეს, ლინგვისტს, რომლებიც მოწოდებული არიან წამყვანი როლი შეასრულონ ქართული ენის შემდგომი განვითარების საქმეში, სწორად არ ესმით თავიანთი ამოცანა.

კონფერენციამ მიგვითითა, რომ ჯერ კიდევ არიან ისეთი მწერლები, რომლებიც განგებ ართულებენ ენას, ცდილობენ მათი ნაწერები მასებისათვის გაუგებარი იყოს, არღვევენ ენის დამახასიათებელ გრამატიკულ წყობას, ენას თავს ახვევენ მისი ბუნებისათვის შეუფერებელ სიტყვებსა და გამოთქმებს, ხმარობენ ხელოვნურ, გამოგონილ, სრულიად არასაჭირო კუთხურ სიტყვებს, მიმართავენ ბუნდოვან სახეებსა და შედარებებს.

„უაზრო სიტყვებისა და გამოთქმების, აგრეთვე არაბუნებრივი, გაუგებარი სახეების ხმარება, — თქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, — უეჭველად ნაშთია ჩვენს პოეტებზე ქართველი სიმბოლისტების, ეგრეთწოდებული „ცისფერყანწელების" გავლენისა. გახრწნილი დასავლეთევროპული ბურჟუაზიული კულტურის ამ აგენტებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ქართულ პოეზიასა და ენას. სწორედ ისინი ეწეოდნენ იმის პროპაგანდას, რომ ყოველ პოეტს გამოეგონა „ახალი", მხოლოდ მისთვის გასაგები სიტყვები. უწელოლოგიზმო ლექსებს ისინი პოეზიად არ თვლიდნენ.

ამ მტრული გავლენის კვალი ჩვენს ლიტერატურაში უახლოეს ხანში უნდა აღმოიფხვრას".

რა არის საჭირო ამ ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად?

საჭიროა ჩვენმა გაზეთებმა, ჟურნალებმა, გამომცემლობებმა, მწერალთა კავშირმა გადაჭრით გააძლიერონ ბრძოლა სიმბოლისტურ-ფუტურისტული მიმდინარეობის გავლენის ნაშთების წინააღმდეგ.

საჭიროა ბოლშევიკურად ვამხილოთ და დავგმოთ სოციალისტური რეალიზმის გზიდან გადახვევის, უიდეობის, აპოლიტიკურობის გამოვლინების ყოველი ფაქტი.

საჭიროა გავაჩაღოთ პრინციპული, პარტიული კრიტიკა მიუხედავად პიროვნებისა, როგორც ამას ჩვენი პარტია და დიდი სტალინი გვასწავლიან.

საჭიროა ავამაღლოთ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის დონე, ბოლო მოვუღოთ უპრინციპობას, ოჯახურობას, ძმაბიჭურ დამოკიდებულებას კრიტიკოსთა და მწერალთა შორის, რასაც ჯერ კიდევ მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული.

სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას, თუ არა უპრინციპობით, რომ ჯეროვნად არ შეფასებულა ამ ექვსი წლის წინათ გამოცემული სიმონ ჩიქოვანის წიგნი „ჩემი მამული", რომელშიც ყველაზე რელიეფურად ჩანს სიმბოლიზმის, პესიმიზმის, ფორმალიზმის გავლენა და რომელმაც მრავალ ახალგაზრდა პოეტს აუბნია გზა-კვალი.

სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას, თუ არა უპრინციპობით, რომ ახალგაზრდა პოეტების მურმან ლებანიძის, შალვა ფორჩხიძის, ოთარ ჭელიძის და სხვების ფორმალისტურ ვარჯიშს სათანადო წინააღმდეგობა არ ეწევა ჩვენი კრიტიკოსების, გამომცემლობების, მწერალთა კავშირის მიერ, წიგნებისა და გაზეთების რედაქტორების მიერ.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში გამოვიდა სიმონ ჩიქოვანის წიგნი „ჩემი მამული". ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მთელი ფიქრები და გრძნობები, მთელი მათი ძალები მაშინ მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ — გაგვენადგურებინა ფაშისტი დამპყრობლები, მოგვეპოვებინა გამარჯვება. ცხადია, ამავე მიზანს ემსახურებოდა საბჭოთა ლიტერატურაც. ჩვენი მწერლები და პოეტები თავიანთი ნაწარმოებებით აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა არმიის მეომრებს და ზურგის მუშაკებს ბრძოლასა და შრომაში ახალ-ახალი წარმატების მოსაპოვებლად.

რამდენიმე კარგი ლექსი სამამულო ომის თემაზე დაწერილი აქვს სიმონ ჩიქოვანსაც. სწორედ ამ ლექსებით იხსნება წიგნი „ჩემი მამული". მაგრამ, ჯერ-ერთი, სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსებიც არ არის თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან; მეორეც, წიგნის 200-ზე მეტი გვერდიდან სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსებს მხოლოდ 22 გვერდი უკავია, მაშასადამე, ისინი როდი განსაზღვრავენ კრებულის ხასიათს.

საბჭოთა ეპოქის, საბჭოთა ქვეყნის ადამიანები, აღზრდილნი ბოლშევიკური პარტიის, ლენინისა და სტალინის მიერ, ყველა სხვა ეპოქის ადამიანებისაგან განირჩევიან ხასიათის უმაგალითო სიმტკიცით, სულიერი მთლიანობით, თავიანთი საქმის სამართლიანობის ღრმა რწმენით, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებით, შეუდრეკელობით სიძნელეთა დაძლევისათვის ბრძოლაში, მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში. სწორედ ეს იყო სამამულო ომის პერიოდში ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი წყარო. ეს არის ომისშემდგომ პერიოდში მოპოვებული ყველა ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი წყარო.

ამიტომ საბჭოთა ადამიანისათვის სრულიად უცხო და მიუღებელია ის სულიერი გაორება, რასაც სიმონ ჩიქოვანი იჩენს თავის პოეზიაში. ომის პერიოდში ერთი მხრივ ის წერს რწმენით აღსავსე, მედგარი ბრძოლისაკენ მომწოდებელ რამდენიმე ლექსს; მეორე მხრივ წერს პესიმისტურ, მტირალა, რაღაც სინანულით აღსავსე, ლაჩრულ ლექსებს. ერთსა და იმავე პერიოდში, ჩვენი სამშობლოს უდიდესი განსაცდელის ჟამს—1942 წელს, ერთი მხრივ, ის მეომრებს მოუწოდებს — „შეუდრეკლობა დარი მყინვარის, მტერზე შეტევა თერგისებური"; მეორე მხრივ კი წერს, რომ ის დაეჭვდა, რომ მას „გამხმარ თითებში უქრება ალი", რომ ის „პირველი ცეცხლის დახარჯვას ნანობს", რომ მან „დაკარგა ფერი", რომ ის ლამის ამოშრეს „გუმანის იქვით", რომ მისი სულის თვისებაა „ჭმუნვა და ცრემლი", რომ ის „ჟამმა დასუსხა", რომ მან ვერავის უჩვენა „ფარული წყლული" და სხვა და სხვა.

უსათაურო ლექსში „არის სიყრმის და სიმწიფის შორის" ის აცხადებს:

„არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი.
ფრთამოტეხილი შევრჩება ქორი,
ჯამში დაშრება სპეტაკი შხამი.
ეს ჟამი დადგა, დაეჭვდი, ძმანო!
გამხმარ თითებში მიქრება ალი.
პირველი ცეცხლის დახარჯვას ვნანობ,
როგორც ავანთო ფურცელზე ბწკარი!
სულის თვისება: ჭმუნვა და ცრემლი,
როგორც ვამგვანო აპრილის კოკორს.
ანუ ოსტატის მაცდური ხელი
ალსარებისთვის ალვამართო როგორ!
ფრთები მოტყდა და მიკვდება ქორი,
ოჯახში ბუხარს მიეკრა ლამის.
არის სიყრმის და სიმწიფის შორის
სინანულის თუ სიმორცხვის ჟამი!
ეს ჟამი განვვლე, დავკარგე ფერი,
ველი დაჭკნა და ბალშიაც მოთოვს.
მინდა მიწაზე ცხოვრება ჩემი
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.
ჩემო მამულო, მაჩუქე ნამი,
გამიფარჯიშე მარჯვენა მალე!
მტირალი მოველ მიწაზე ლამით,
უკან სიმღერით მიმიღოს ღამემ.
შემომაშველე ზაფხულის თქორი,
გუმანის იქვით ამოვშრე ლამის
არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების და სიმორცხვის ჟამი!"

ასეთი სულიერი განწყობილება უცხოა საბჭოთა ადამიანისათვის, მით უმეტეს ლენინ-სტალინის პარტიის წევრისათვის, თუნდ სიყრმის, თუნდ სიმწიფის ან რომელიმე სხვა პერიოდში. მაშინ, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებული, უდიდესი გმირობით იბრძოდა და შრომობდა ფრონტზე და ზურგში, რათა გაენადგურებინა ფაშისტი დამპყრობლები, სიმონ ჩიქოვანის სულს დაუფლებია იქვი, „ჭმუნვა და ცრემლი", ის „ლამის ბუხარს მიეკრას" ოჯახში, ითხოვს, რომ ღამით ქვეყანაზე მოსული ისევ ღამემ მიიღოს და სხვ. ამას გარდა, თავისი უიმედო სულიერი განწყობილების გამოსახატავად პოეტი მეტად უცნაურ სახეებს მიმართავს—მის ქორს ფრთები მოტეხია და უკვდება (რის სიმბოლოა ეს ქორი, ძნელი გასაგებია); მას ჯამში დაშრობია „სპეტაკი შხამი" (რათ უნდოდა ეს შხამი, თუნდაც „სპეტაკი"?).

მომდევნო უსათაურო ლექსში „თუ დამიჯერებთ, მამულს ვფიცავარ" პოეტი წერს:

„მე სიყრმის ეშხი დავხარჯე ფუჭად,
მარტოდ ვმღერი და არა მაქვს ბრჭყალი".
„ვერ გამოვზოგე, დავხარჯე შხამი,
ფურცელზე დაშრა მაისის თქორიც.
მე რომ მცოდნოდა—დამუსხავს ჟამი
სიჭაბუკის და სიმწიფის შორის,
თოკს მოვიბამდი დაღლილ კისერზე,
ვიშრომებდი და შევკრებდი ლალს.
ქართული ბაღით ცრემლი ვისესხე
და აღუზრდიდი ხვავიან ყანას".

შემდეგ სიმონ ჩიქოვანი აცხადებს, რომ მას ჩვილი სიმღერა ჩაუშრა ყელში, ველარ აივსო თავთუხით პეშვი და სხვ.

მაშინ, როცა ჩვენი საბჭოთა ხალხის ერთსულოვნება და დარაზმულობა მთელი მსოფლიოს განცვიფრებას იწვევს, სიმონ ჩიქოვანი „მარტო მღერის" და „არა აქვს ბრჭყალი" (საინტერესოა, რატომ დარდობს, რომ ბრჭყალი არა აქვს?). პოეტი ნანობს, რომ ვერ გამოზოგა, დახარჯა შხამი, აცხადებს, რომ ჟამმა დასუსხა, ასე რომ სცოდნოდა, ის თოკს მოიბამდა დაღლილ კისერზე (ალბათ თავის ჩამოსახრჩობად!), მაგრამ საკვირველი ის არის, რომ თავის ჩამოხრჩობის შემდეგაც ის თურმე კიდევ „იშრომებდა და შეკრებდა ლალს".

1942 წლის შემოდგომაზეა დაწერილი ლექსი „გამოთხოვება". ჩვენი სამშობლოსათვის ყველაზე დიდი განსაცდელის პერიოდში სიმონ ჩიქოვანი, როგორც თვითონ აცხადებს, „მომაკვდავი წევს ჩრდილში" და ეთხოვება ცხოვრებას. ის ვერ გაბედა ყვავილის ღირსება. მას გულზე მოედო „ვარამი წმინდა", „ვით თითისტარზე საწინდე ძაფი", დაეჭანცა „თვალები სწრაფი". ლექსი ასე თავდება:

„მე დასასრული ადრე ვიგრძენი
და ბედისწერას დავენდე ურჩი".

შემდეგი ლექსი „დაჭრილი", რომელიც 1942 წლის გაზაფხულზეა დაწერილი, კვლავ პესიმიზმითაა აღსავსე:

„ჩემო მამულო, დიდხანს მიელოდ,
აწ მიიღე სილაღეც ჩემი".
„მე ერთი ცრემლი მერგება ვიცი,
სპეტაკი ცრემლი ახლობელ ქალის.
ველზე მტირებს ქურანა კვეცი
და სუსხიანი კოლხური ქარი".

ასეთივე უიმედო განწყობილებაა გამოხატული ლექსში „სათვალი" და მთელ რიგ სხვა ლექსებში. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში „გურამიშვილის და ვაჟას ფერი" პოეტი წერს:

„გურამიშვილის და ვაჟას ფერი
მათი მომდევნო მე ვარ მესამე.
მათი სახმილით ვიტანჯე ბევრი
და გულმოდგინეთ ბევრჯერ ვიწამე".

შემდეგ:

„მე ყურში მესმის დანას ლესავენ,
ნეთუ მომკლავენ შენი კვნესამე!
გაღამაყარეთ მინდვრის კესანე,
პირში და ლხინში მე ვარ მესამე!".

შემდეგ:

„ეგებ საფლავში ფესვივით გავთბე,
ნუ დამივიწყებთ თქვენზე მინდობილს,
მე წმინდანივით სიცოცხლე დავთმე,
მალე მოვკვდები, ძმებო მშვიდობით!
გურამიშვილის და ვაჟას დარი
სიმართლის მთქმელი მე ვარ მესამე.
მათთან ყანები მქონდა ზიარი
და მათი უღლით ბევრჯერ ვიწამე".

როგორც ვხედავთ, ს. ჩიქოვანი თავის თავს თვლის ტანჯულად და წამებულად, ისევე როგორც დატანჯული იყვნენ დავით გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა. მაგრამ საინტერესოა, ვინ ტანჯავს და აწამებს ს. ჩიქოვანს, ვინ ლესავს დანას მის მოსაკლავად? ვის რათ უნდა ეს? პოეტს ავიწყდება, რომ სულ სხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა, და სულ სხვა ეპოქაში ცხოვრობს თვითონ. პოეტს ავიწყდება, რომ საბჭოთა ეპოქაში ნამდვილ შემოქმედს მოსაკლავად კი არავინ დასდევს, არამედ მუშაობის ისეთ პირობებს უქმნიან, რომლებზეც წინათ ოცნებაც შეუძლებელი იყო. საინტერესოა ისიც, რომ, სიმონ ჩიქოვანის აზრით, ამ ქვეყნად სიმართლის მთქმელი ყოფილა მხოლოდ სამი კაცი — გურამიშვილი, ვაჟა და თვითონ! თუ სიმონ ჩიქოვანს ასეთი ავადმყოფური წარმოდგენა აქვს თავის თავზე, რა დააშავეს ვაჟა-ფშაველამ და დავით გურამიშვილმა, რომლებსაც ის თავის თავთან ათანაბრებს.

უსათაურო ლექსში „ოი, მამულო, თუ დავინგრე, კვლავ ამაშენე" ს. ჩიქოვანი უკმაყოფილებას გამოთქვამს ჩვენი სინამდვილის მიმართ. ის წერს:

„სად დავიბადე, უნდო ბედმა რა გამატანა!
სული მწყურვალი და მათარა ძლიერ პატარა".

ან კიდევ:

„განლია ცრემლმა, უმარილომ, თვალი
დამწვარი,
გამშრალ ფურცელზე ფორიაქობს მისი
ნაცარი".

ასეთი „ნაწარმოებნი" შექმნა ს. ჩიქოვანმა 1942 წელს, ჩვენი სამშობლოს უდიდესი განსაცდელის ჟამს. ასეთი ლექსები გამოაქვეყნა მან 1944 წელს—დიდი სამამულო ომის პერიოდში. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ არც ერთ ამ ლექსს არაფერი აქვს საერთო საბჭოთა პოეზიასთან, ომის პერიოდში ჩვენი ხალხის განწყობილებასთან და ამოცანებთან.

ასევე არაფერი აქვს საერთო საბჭოთა პოეზიასთან სიმონ ჩიქოვანის მრავალ ლექსს, დაწერილს ომამდე და შეტანილს კრებულში „ჩემი მამული".

აი, მაგალითად, ლექსების ციკლი სათაურით „წიგნიდან—შემოდ[illegible]მის დღიური (1940 წელი)". პირველსავე ლექსში „პირველთქმა" პოეტი ამბობს:

„მაგრამ წინათქმა, მოძმენო, კმარა,
შემომეპარა ცხოვრების ზინდი".

„პირველთქმას" მოსდევს მთელი რიგი ლექსები დის დაკარგვაზე. ამ ლექსებსაც სრულიად არაჯანსაღი, პესიმისტური განწყობილება ახასიათებს. პოეტის სულში ბნელა, ღამეა. გგონიათ, ეს გამოწვეულია მხოლოდ პირადი მწუხარებით (დის დაკარგვით)? ლექსში „პირველი მინაწერი" ის პირდაპირ აცხადებს, რომ „მისი პირადი საქმე მტკნარი ცხოვრების არის ნაწილი", პოეტი წერს:

„მეც, მეგობრებო, მოვდივარ აგრე,
ჩემი ცხოვრებით ლექსში დაცლილი,
მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმე
მტკნარი ცხოვრების არის ნაწილი.
ეგებ უბრალოდ გული ჩქამდება,
მუზას შეანჯღრევ, გიმღერის რამე,
რადგან ჩემს სულში ისე ღამდება,
რომ გათენებას გულისხმობს ღამე".

ლექსში „იქვი" ს. ჩიქოვანი აცხადებს: „დიდი პოეტის თვისება არი გრძნობას სიფრთხილით გაუღოს კარი". რა გრძნობას უღებს კარს სიფრთხილით ეს „დიდი პოეტი"? მოვუსმინოთ:

„იბედად იწვის გრძნობები ძველი;
კვამლის სურნელი გაღენთავს ოთახს.
უფრო მიჰქრის ოცნება ჩემი
და უფერული სტრიქონი მოსთქვამს".

უსათაურო ლექსში „ვაჩვენოთ მუზას წარსული რთული" პოეტი ამბობს: „მხოლოდ მყარია საფლავის მთხრელი, ან ბუნებაში ჭიდილი სულთა", ხოლო სხვა ყოველივე წარმავალია. შემდეგ:

„ო, შთაგონებავ, მომმადლე ძალი,
ნულარ მომაკლებ შუქს და სიამეს.
შენ გამიღრმავე ზღვისფერი თვალი
და განმარიდე სოფლურ სიავეს".

ლექსში „ორი ფრთა" ს. ჩიქოვანი აცხადებს: როგორც ფრენას „სჭირია ორი ფრთა", ისე მის გრძნობასაც „სჭირია ტოლი":

„ამიტომ ღამით ვეძახი მოძმეს,
სიმარტოვე და დუმილი დავგმე.
ეგებ მოყვასმა ცალი ფრთა მომცეს,
შემაძლებინოს გაფრენილიყო სადმე".

პოეტისათვის „მრუმე ღამეა". ის ვერ არჩევს, ძველმა მეგობრებმა (ფუტურისტებმა) დატოვეს იგი, თუ მან დატოვა ისინი (ფუტურისტები). ის ფრთამოტეხილია, ტოლი არა ჰყავს; ამიტომ მოუყვას ევედრება ცალი ფრთა მისცეს.

„მტკნარი ცხოვრების", „მრუმე ღამის", „ჩანწელებული სულის", „უფერო ოცნების", „ფრთამოტეხილობის", „სოფლური სიავისაგან" განრიდების ეს „ფილოსოფია", გასაგები რევოლუციამდელი პერიოდის ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში, ყოვლად უცნაურად გაისმის საბჭოთა პოეტის ლექსებში.

ლექსების ციკლი სათაურით „წიგნიდან—აქ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად" შეიცავს სხვადასხვა დროს დაწერილ ნაწარმოებებს. მიძღვნილს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისა და ისტორიული ძეგლებისადმი. ამ ლექსებსაც სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. პოეტი რაღაც ავადმყოფურ სიყვა-

ახალგაზრდათა წარმატება

(„მეთორმეტე ღამე" მარჯანიშვილის სახელობის თეატრში)

კომედია „მეთორმეტე ღამე" შექსპირის შემოქმედების პირველ პერიოდს ეკუთვნის. ცხოველმყოფელი ოპტიმიზმი, მხიარული, მჩქეფარე ჰუმორი, კეთილშობილური სიყვარულის გრძნობა, — აი რა ახასიათებს ამ კომედიას.

სპექტაკლი „მეთორმეტე ღამე" რამაზ ჭიაურელის მეორე ნამუშევარია. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა რეჟისორის უდავო წინსვლა, რაც მან სარეცენზიო სპექტაკლში გამოამჟღავნა. აღსანიშნავია სპექტაკლის მტკიცედ ორგანიზების უნარი, ნაწარმოების სახეთა მახვილგონიერი გახსნა, სპექტაკლის დინამიკური განვითარება, ჭეშმარიტი თეატრალობა და გემოვნება, რაც დამახასიათებელია ახალგაზრდა რეჟისორის ამ ნამუშევრისათვის.

სპექტაკლი მთლიანად ახალგაზრდა ძალებით არის დადგმული. იგი მოწმობს თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდობის პროფესიული ოსტატობის ზრდას, აქტიორული კულტურის სრულყოფას.

ახალგაზრდათა კოლექტივი ხალისითა და მონდომებით წარმოგვისახავს შექსპირის სიცოცხლით სავსე, რეალისტურ სახეებს, რასაც მაყურებელთა დარბაზი ერთსულოვანი მოწონებით ეხმაურება.

წლითიწლობით იზრდება ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ე. ყიფშიძე. მისი ლირიკული, ამავე დროს მგზნებარე, გრაციოზული ვიოლა მსახიობის მიერ წინგადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

ამ როლის მეორე შემსრულებელი მ. მახვილაძე მაყურებელს ხიბლავს თამაშის სისადავითა და გულწრფელობით.

ვიოლას ტყუპ ძმას — მამაც და კეთილშობილ სებასტიანს დიდი წარმატებით განასახიერებს ედიშერ მაღალაშვილი.

საუკეთესოდ ასრულებს სერ ენდრიუ ეგჩიკის როლს უტყუარი კომედიური ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი ვ. ნინუა. მისი ეგჩიკი მახვილი სატირაა, გადაგვარების გზაზე დამდგარ იმდროინდელ თავად-აზნაურობაზე.

აქტიორული ოსტატობით აღინიშნება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. ტრიპოლსკის მიერ შექმნილი სახლთუხუცესი მალვოლიო. როლის მახვილი, სატირული მონახაზი, სახის მთლიანობა და რეალობა საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს.

ჰერცოგ ორსინოს როლს კეთილშობილური სისადავით ასრულებს ანდრო კობალაძე.

გრაფის ასულს ოლივიას წარმატებით განასახიერებს თამარ თეთრაძე.

ექსპრესიული, მხიარული და ცოცხალია ოლივიას პირფარეშის მარიას როლში ავლოხაშვილი. მისი ღირსეული პარტნიორები არიან ტ. საყვარელიძე და დ. ქუთათელაძე (სერ ტობი) და შ. გაგუა (მასხარა), რომელთა ანსამბლური, თავისუფალი თამაში ხელს უწყობს შექსპირის ამ მხიარული კომედიის წარმატებას.

მთავარი ნაკლი, რაც ამ სპექტაკლს ახასიათებს, ის არის, რომ თეატრმა არ იზრუნა შექმნა სათანადო მხატვრული გაფორმება, შექსპირის გარკვეული ეპოქისა და სტილის ამ ნაწარმოებისათვის. ასეთი პასუხსაგები კლასიკური ნაწარმოების ძველი სპექტაკლებიდან შერჩეული დეკორაციებითა და კოსტუმებით დადგმა შეუფერებელია ისეთი მოწინავე თეატრისათვის, როგორიც მარჯანიშვილის თეატრია. შემდეგისათვის თეატრმა უთუოდ უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, რომ უფრო სრულყოფილი სახე მისცეს ამ კარგ სპექტაკლს, რომელიც მაყურებელთა ცხოველ ინტერესს იწვევს.

ლ. ბაგრატიონი

ქვემო ქართლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნა

ბოლნისში გაიხსნა ქვემო ქართლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. რაიონს ამით კულტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კერა შეემატა, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ბოლნისის, არამედ მისი მეზობელი — მარნეულისა და დმანისის რაიონების როგორც წარსული ისტორიული ძეგლების, ისე თანამედროვე ყოფის ამსახველი საისტორიო მასალების შეგროვებას და მათს მეცნიერულად შესწავლას.

ბოლნისი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, რომლებიც უძველესი დროიდან ქართველი ხალხის კულტურის განვითარებაზე მოგვითხრობენ. ბოლნისის რაიონის ისტორიული ძეგლები, ამ რაიონის მიწა-წყალი ცოცხალი მოწმენი არიან ქართველი ხალხის იმ უმაგალითო გმირობისა, რასაც იგი იჩენდა შორეულ წარსულში საქართველოს მოსისხლე მტრების — თურქ და ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

ბოლნისისა და მისი მეზობელი რაიონების მოსახლეობაში გაბნეულია მრავალი ნივთი და ისტორიული დოკუმენტი, მრავალი ხალხური თქმულებანი საქართველოს წარსულის შესახებ. ამ მასალების შეკრებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

ქვემო ქართლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოწყობა დამადასტურებელია იმ უდიდესი ზრუნვისა, რასაც პარტია და მთავრობა მუდამ იჩენენ ჩვენი ერის წარსულის შესწავლისათვის, სოციალისტური მშენებლობის დარგში მოპოვებულ წარმატებათა ჩვენებისა და განზოგადებისათვის.

ქვემო ქართლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნის დღეს, დაბა ბოლნისში თავი მოიყარეს რაიონის მშრომელებმა და მეზობელი რაიონების წარმომადგენლებმა. აქ სტუმრად ჩამოვიდნენ დედაქალაქის სამეცნიერო საზოგადოებრიობის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლები.

მიტინგი მოკლე სიტყვით გახსნა პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანმა ამხ. ქ. ლომაძემ.

ბოლნისის რაიონის მშრომელებს სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ხატიაშვილმა, რომელმაც დამსწრეთ მიულოცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნა.

მიტინგზე გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკ. შანიძე, მწერალთა კავშირის სახელით — პოეტი კარლო კალაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სახელით — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ლომთათიძე, თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნ. ბადრიაშვილი, მწერალი იოსებ იმედაშვილი, ალ. შანიძე, თეატრალური საზოგადოების სახელით დ. ჩხეიძე, ბოლნისის საშუალო სკოლის დირექტორი ფ. თოფურიძე, მასწავლე ნ. თოფურიძე, კომკავშირის ბოლნისის რაიკომის მდივანი მანაგაძე, ამავე რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კუხალეიშვილი, რაიაღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. კ. ფანჯაკიძე და სხვ.

მიტინგის შემდეგ დამსწრეთ დაათვალიერეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მუზეუმის ერთი ოთახი დათმობილი აქვს დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს. აქ წარმოდგენილია მდიდარი მასალები და ისტორიული დოკუმენტების ფოტოასლები, აგრეთვე გორის იმ სახლის მაკეტი, სადაც დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა.

მუზეუმის შემდეგი ოთახები დათმობილი აქვს ბოლნისის რაიონის ისტორიული წარსულის ამსახველი დოკუმენტების ფოტოასლებსა და ნივთებს; სპეციალურ განყოფილებაში წარმოდგენილია ახალი, სოციალისტური ბოლნისის რაიონი საკოლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებული მიღწევების ამსახველი დოკუმენტებით და კოლექციებით, მისი მოწინავე ადამიანებით.

ქვემო ქართლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნას ბოლნისისა და მეზობელი რაიონების ათასამდე მშრომელი დაესწრო.

ა. კოკილაშვილი
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ქალთა პირველი სპარტაკიადა

4 მარტს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქალაქ თბილისის ქალთა პირველი სპარტაკიადა მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტისადმი. მასში მონაწილეობას იღებს დედაქალაქის ათასზე მეტი სპორტსმენი ქალი.

სპარტაკიადის გახსნის წინ ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზის ტრიბუნებს იკავებს მრავალი სტუმარი. მათ შორის არიან დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებათა, სასპორტო ორგანიზაციათა, უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები თ. ქელივიძე, მ. მეგრელიშვილი, ი. კვანჭახაძე, ბ. კიზირია, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯაფარიძე, სპორტის ოსტატები, პარტიული, საბჭოთა და სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საღამოს 6 საათი და 30 წუთია. დარბაზში მწყობრ რიგებად შემოდიან სპარტაკიადაში მონაწილე ფიზკულტურელთა კოლონები. დარბაზის ცენტრისაკენ მიდიან საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. დედაბრიშვილი, ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ფალავანდიშვილი და სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე. სპარტაკიადის მონაწილე სპორტსმენთა პარადის უფროსი ამხ. ი. ფარეშიშვილი პატაკს აძლევს ამხ. გ. დედაბრიშვილს სპარტაკიადისათვის სპორტსმენთა მზადყოფნის შესახებ.

ამხ. გ. დედაბრიშვილი მიესალმება პარადის მონაწილეებს და ულოცავს მათ სპარტაკიადის გახსნას.

სპარტაკიადის მონაწილე სპორტის ოსტატებმა ე. გაგოშიძემ და ე. სტეპანოვამ საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის ჰანგებში აღმართეს ალამი თბილისის ქალთა პირველი სპარტაკიადის გახსნის აღსანიშნავად.

ამავე დღეს დედაქალაქის სხვადასხვა სასპორტო ბაზებში მიმდინარეობდა შეჯიბრება ცურვაში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ხოლო ლენინის სახელობის დარბაზში სასპორტო და მხატვრულ ტანვარჯიშში.

თბილისის ფიზკულტურის პარკში გაიმართა გუნდური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. სპორტის ამ სახეობაში სასპორტო საზოგადოება „შრომის" გუნდმა მოუგო „წითელი დროშის" გუნდს, თბილისის [illegible] ინსტიტუტის გუნდმა — [illegible] პედაგოგიური სასწავლებლის გუნდს, სასპორტო საზოგადოება „დინამო"—თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ გუნდს, თბილისის განათლების განყოფილების გუნდმა—სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე გუნდს, ხოლო სამედიცინო და ფიზკულტურის ინსტიტუტთა გუნდების შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში მიმდინარეობდა შეჯიბრება მხატვრულ და სასპორტო ტანვარჯიშში.

მხატვრულ ტანვარჯიშში მონაწილეობდა 30 სპორტსმენი ქალი. საუკეთესო სპორტული წვრთნა და მხატვრული ტანვარჯიშის ილეთების კარგი ცოდნა გამოავლინეს ტ. ჩიკვაიძემ (უცხო ენათა ინსტიტუტი), ვ. კანომ და ე. ფეოდოროვამ (სახელმწიფო უნივერსიტეტი).

სასპორტო ტანვარჯიშში მონაწილეობდა 100-მდე სპორტსმენი; აქედან მეორე თანრიგის ნორმები შეასრულა 29 სპორტსმენმა ქალმა, ხოლო მესამე თანრიგის ნორმები 30 ქალმა. სპორტის ამ სახეობაში სათადარიგო ნორმები კარგად შეასრულეს რ. შანიძემ, ლ. როსტიაშვილმა, გ. ცეცაძემ, რ. პენკოვამ, მ. ანდრონიკაშვილმა, ტ. ხურციამ და სხვ.

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალთა გუნდები. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე გუნდმა მოუგო პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის ნაკრებ გუნდს, თბილისის განათლების განყოფილების გუნდმა —სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ გუნდს, რკინიგზის საშუალო სკოლების ნაკრებმა გუნდმა—სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს.

საზამთრო საცურაო აუზში ერთმანეთს ეჯიბრებოდა სამოცზე მეტი სპორტსმენი ქალი. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა თ. ტალიანსკაიამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მეორე ადგილზე გამოვიდა ქალთა მე-8 საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ფაჩულია.

შეჯიბრება გრძელდება.

მწვერვალ ჩუნკუნბაზე ასვლა

სოხუმი. (საქ. კორ. ტელეფონით). ქალაქ სოხუმის და სოხუმის რაიონის ახალგაზრდებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად მოაწყეს ასვლა აფხაზეთის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ ჩუნკუნბაზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2.100 მეტრს აღწევს.

მწვერვალ ჩუნკუნბაზე ასვლაში მონაწილეობდნენ სოხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, ინდუსტრიული ტექნიკუმის, სოხუმის რაიონის სოფლების: შრომისა და ახალშენის 100 კოლმეურნე ახალგაზრდა. მთასვლელთა რაზმს ხელმძღვანელობდნენ აფხაზეთის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ალპინიზმისა და ტურიზმის სექციის თავმჯდომარე ქ. მგელაძე და საქართველოს ალპური კლუბის წარმომადგენელი ა. ივანიშვილი. ასვლა დაიწყო დილის 7 საათზე სოფელ მთისკალთიდან. მიუხედავად ქარბუქისა, მთასვლელებმა რვა საათის შემდეგ მიაღწიეს ჩუნკუნბას და მწვერვალზე აღმართეს წითელი დროშა.

აფხაზეთის ალპინიზმის ისტორიაში ეს არის პირველი ასვლა მაღალ ალპურ მწვერვალზე ზამთრის პირობებში.

საქართველოს XII საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთხუთმეტე ტურში ვ. ქარსელაძემ მოუგო ნ. სოროკინს. მ. შიშოვ—ბ. გურგენიძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ა. ბლაგიძემ გაიმარჯვა ვ. აღამალიანთან. თ. გიორგაძემ მოუგო ო. ლოლუას.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ა. ბუსლაევმა კარგად გამოიყენა ა. გამრეკელის შეცდომები და მოგებას მიაღწია. შ. ანწყერველმა მოუგო ო. ელიოზიშვილს, გ. გამრეკელი დამარცხდა ი. კლიაცკინთან, თ. გიორგაძემ მ. შიშოვთან საყაიმო პოზიციაში დაუშვა უხეში შეცდომა და წააგო პარტია. ი. კრიხელ—ო. წოწოლაშვილის პარტია ყაიმით დამთავრდა.

მეთექვსმეტე ტურში ნ სოროკინმა რთული და დაძაბული თამაშის შემდეგ მოუგო შ. ანწყერველს. ო. წოწოლაშვილმა ოთხი მხედრის დებიუტში ა. ბლაგიძის წინააღმდეგ მოიპოვა უკეთესი მდგომარეობა და 22-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

თ. გიორგაძემ მოუგო ვ. ქარსელაძეს. ა. გამრეკელს ზედმეტი პაიკი ჰქონდა ო. ელიოზიშვილთან, მაგრამ დაუშვა შეცდომა, წააგო ფიგურა და პარტიაც.

ვ. აღამალიანმა მოუგო მ. შიშოვს.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ა. ბუსლაევ—ი. კლიაცკინი და დ. ჩირაძე—ი. კრიხელი.

თანაბარ მდგომარეობაშია გადადებული ბ. გურგენიძე—ო. ლოლუას პარტია.

მეთექვსმეტე ტურის შემდეგ ნ. სოროკინს აქვს 12½ ქულა, მ. შიშოვს—11 ქულა, ბ. გურგენიძეს—10½ და ერთი გადადებული პარტია, ვ. ქარსელაძეს და ა. ბლაგიძეს — ათ-ათი ქულა.

სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავისადმი მიძღვნილ თვითმოქმედების საღამოზე პირველად გამოვიდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრი ალექსანდრე ნასიძის ხელმძღვანელობით.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ამ ახალგაზრდა კოლექტივის სერიოზული წარმატება. ორკესტრმა მუშაობა დაიწყო გასული წლის ნოემბრიდან და მოკლე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ორკესტრის შემადგენლობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. სრულად არის წარმოდგენილი სიმებიანი ჯგუფი, საკმაო ყურადღება აქვს მიქცეული დანარჩენ ინსტრუმენტებსაც.

კონცერტის პროგრამაში შევიდა ქართველ კომპოზიტორთა ისეთი მნიშვნელოვანი და რთული ნაწარმოებნი, როგორიცაა ზ. ფალიაშვილის „დაისის" ცნობილი უვერტიურა და ეთერის არია „აბესალომ და ეთერიდან", ვ. დოლიძის „უზუნდარა" ოპერა „ლეილიდან", გრ. კილაძის „ქართული სუიტის" 1-ლი ნაწილი, ი. ტუსკიას „გველის მჭამელის" უვერტიურა და სხვ.

კონცერტის სოლისტმა, ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ლ. ცხოვრებაშვილმა წარმატებით შეასრულა ეთერის არია.

მრავალრიცხოვანმა მსმენელებმა გულთბილად მიიღეს ახალგაზრდა მუსიკოსთა პირველი კონცერტი.

მ ვაჩნაძე

ჩვენ გვწერენ

სად შევიძინოთ ავეჯი?

დღითიდღე იზრდება ქალაქი რუსთავი და მისი მოსახლეობა. აქედან ცხადია, თუ რა მზარდი მოთხოვნილება აქ ყოველგვარ ავეჯზე.

ქალაქის მშრომელებს მომსახურებას უწევს ავეჯის ერთადერთი მაღაზია. მაგრამ აქაც იშვიათად მოიპოვება საჭირო ავეჯი: საწოლები, სკამები, საწერი მაგიდები, წიგნის კარადები და სხვ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს რუსთავის მოსახლეობის უზრუნველყოფას ავეჯით.

თ. სელიმაშვილი, ო. ლვინიანიძე, დ. ლებანიძე,
ქ. რუსთავის მცხოვრებნი

რულს იჩენს ჩვენი ისტორიული წარსულისა და ძეგლებისადმი.

ჩვენ, საბჭოთა ეპოქის ადამიანებს, გვიყვარს ჩვენი ქვეყნის წარსული, პატივს ვცემთ ჩვენს გმირ წინაპრებს, რომლებიც საქართველოს იცავდნენ მტრის ურდოებისაგან. ჩვენ პატივს ვცემთ გმირ წინაპრებს, რომლებმაც მრავალი ბრძოლა გადაიტანეს, ბევრი სისხლი დაღვარეს ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და კულტურის გადასარჩენად.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ეს წარსული ხალხთა მასებისათვის, მშრომელებისათვის იავარდით მოფენილი არც მაშინ იყო, როცა საქართველო საგარეო მტერს მოიგერიებდა და მცირე შეხვენებას მიიღებდა.

ჩვენ ვიცით, რომ მშრომელებს სამპირ ტყავს აძრობდნენ, ასე ვთქვათ, „საკუთარი", ქართველი ფეოდალები, მემამულეები, ვაჭრები, კაპიტალისტები.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დღევანდელი დრო შეუდარებლად მაღლა დგას ყოველგვარ სხვა დროზე, ყოველგვარ სხვა „ოქროს ხანაზე".

ს. ჩიქოვანი კი ასე როდი გვიხატავს წარსულს. ის წარსულის იდეალიზაციას ახდენს. აი, მაგალითად, ის მიმართავს სერაფიტს:

„ჩემი გული არ ვათელო,
აღსდექ, თმებით აშრიალდი!
შენ ხარ ძველი საქართველო,
შენ ხარ ჩემი ხვაშიადი!".

მომდევნო ლექსში პოეტი სერაფიტს უხმობს:

„იმ დროიდან სამარესთან გელოდი,
დავილალე, მოიგვალა ველობი".
„დამიჯერე მეწვის სულის ხანათი,
მოგიტანე ზილით სავსე კალათი".
„წამოდექი და წარმართულ კილოზე
მამულისთვის, ვენახისთვის ილოცე!
სილამაზე მოგვიტანე სამარით.
წელზე გერტყა ვაზის წნული ქამარი".

სილამაზის ძებნაში პოეტს „გული მღერით დაუცლია", ვერ უნახავს ეს სილამაზე ჩვენს სინამდვილეში და მხოლოდ სამარეში მიუგნია მისთვის. ავტორი ევედრება სერაფიტს ადგეს, აშრიალდეს, თორემ დაიქანცა ლოდინით, ეწვის „სულის ხანათი" და ამ „რაინდს" სურს მოხიბლოს სერაფიტი „ზილით სავსე კალათით". „წამოდექი,—ემუდარება პოეტი სერაფიტს, — და წარმართულ კილოზე მამულისთვის, ვენახისთვის ილოცე" (რათ სჭირდება ჩვენს მამულს წარმართულ კილოზე ლოცვა ან საერთოდ ლოცვა, გაუგებარია). ს. ჩიქოვანი არ უფიქრდება, ალბათ, რასაც ლაპარაკობს, როცა აცხადებს, რომ „მისი ხვაშიადი" ძველი საქართველოა".

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ლექსების ციკლს „სიმღერა დავით გურამიშვილზე". საკმარისია აღინიშნოს, რომ ს. ჩიქოვანი ვერავითარ განსხვავებას ვერ პოულობს თავის თავსა და დავით გურამიშვილს შორის. მან ისიც არ იცის, მას აკანკალებს თუ გურამიშვილს:

„შენ გცივა, თუ მე ვკანკალებ სულერთია,
ოღონდ ვიყოთ მარად ტრფიალებით
მთვრალი".

გურამიშვილი XVIII საუკუნის დიდი პოეტია. მაგრამ განა შეიძლება საბჭოთა პოეტმა, როგორი სიდიდისაც უნდა იყოს იგი, თავისი თავი გააიგივოს XVIII საუკუნის პოეტთან, ვერ ნახოს განსხვავება თავის სულიერ განწყობილებასა და გურამიშვილის სულიერ განწყობილებას შორის? დავით გურამიშვილს სიმონ ჩიქოვანი წარმოგვიდგენს რაღაც წმინდანად — „მკვდრეთით აღმდგარ ლაზარედ", „ქრისტედ", და, მაშასადამე, თავის თავსაც ამ წმინდანებსა და წამებულებს აკუთვნებს. პოეტი მიმართავს გურამიშვილს:

„შენ თვითონ იყავ ლაზარე,
მკვდრეთით აღმდგარი ყარიბი".

ან კიდევ:

„ქრისტეს-კი არა, შენ გქონდა
წმინდა პერანგის ნაფლეთი".

ან კიდევ:

„სანთლივით ცად აწვდილო ღვეთ,
შენ გიდებდა ასტრახანში ლამით".

ან კიდევ:

„მდინარეში ცოცხლდებოდა ფესვი
და წისქვილში წმინდანივით იდექ".

ვრცლადაა აღწერილი გურამიშვილის ლოცვები, აუგი უფლისადმი, გაბაასება საწუთროსთან, სიკვდილთან და სხვა და სხვა. ყოველივე ეს ისეა გაკეთებული, რომ არ ჩანს საბჭოთა პოეტის თვალსაზრისი, მისი დამოკიდებულება ყოველგვარი ამ რელიგიური ცრურწმენისადმი.

„სიმღერების" იდეური სიცარიელე ჩანს სრულიად უმნიშვნელო ამბების უზომოდ გაბერვით. ასე, მაგალითად, მთელი რიგი ლექსები ეძღვნება კიტრს, რომელიც წყალს წაუღებია დავით გურამიშვილისათვის, კოლოფს, რომლებიც პოეტს დახვეია, პერანგს, რომელიც მას ტანზე შემოხევია. კალოზე გურამიშვილს დაუტოვებია „პერანგის ნაწილი". ამის გამო ს. ჩიქოვანი ამბობს:

„იქ დარჩა შენი პერანგი,
მას გიცხრილავდა ეკალი.
წვიმა წეწავდა ვერაგი (პერანგს!),
სწვავდა სხივების სპეკალი(!).
გველვამ სიმშრალე ელირსა,
თრთოდა ზარების რეკვითა (პერანგი!).
თითქო ნარჩევი ქარისგან
ძეწნის ტოტივით გეკიდა.
(თუ დატოვა პერანგი, მას როგორღა ეკიდა?)
ქრისტეს კი არა შენ გქონდა
წმინდა პერანგის ნაფლეთი.
ტანზე ნისლივით გეკროდა,
იწოდა როგორც აბედი (პერანგი!).
ლაზარეს პურის ნაცვალი,
რუსს დაუტოვე ნაფლეთი,
შენი სიცოცხლის მარცვალი (პერანგი!)
დაუტოვე და წახვედი".

ამით არ თავდება ამ პერანგის ამბავი:

„შენ კი გამოგყვა სიმღერა,
ცხელი პერანგის ალმური".
„პერანგი, ტანჯვით ნაგეში(!),
მომეცი, მქონდეს, თბილია".
„მეგობრულ გრძნობის საწინდრად
გვქონდეს პერანგის ნაწილი.
მან (პერანგმა!) ჩვენი კერა გასწმინდა
და გამოჰკვება (პერანგმა!) არწივი".
„პერანგზე ლოცვა დასწერე,
იგალობე და წახვედი".

ასეთია „პერანგის" თუ „პერანგის ნახევის" „ფილოსოფია"!

გაუგებარი, უცვლად უცნაური, საღი გონებით წარმოუდგენელი სახეები და შედარებები, სრულიად უაზრო, ულოგიკო ნახტომები ერთი საგნიდან მეორეზე ისევე ახასიათებს „სიმღერას", როგორც პოეტის მრავალ სხვა ლექსს.

მაგალითად, ს. ჩიქოვანი მიმართავს ტყვეობაში მყოფ, ორმოში ჩამწყვდეულ დავით გურამიშვილს და ამბობს: „როგორც კოცონი აკვამლდი ორმოდ". სცადეთ და წარმოიდგინეთ კოცონივით ორმოდ აკვამლებული ადამიანი! მეორე ადგილას პოეტი მიმართავს გურამიშვილს: „მაგრამ გამოგყვა სიმღერა, გულით ნაკვები არწივი". ჯერ-ერთი, გაუგებარია, რას ნიშნავს „გულით ნაკვები არწივი", მეორეც, — სად სიმღერა და სად არწივი, რანაირად შეიძლება სიმღერა არწივი ან სკვინჩა იყოს!

პოეტი წერს:

„საკმეველივით გეწოდა თვალი,
საკმევლის კვამლი ადარე ხორალს.
სანთლიან ლოცვის ყოველი ცალი
საგზლად მიჰქონდა ღამეს და ყორანს".

ვის მოუვა აზრად, რომ კვამლი, თუნდაც ის საკმევლისა იყოს, ხორალს შეადაროს, ხოლო ლოცვა ცალობით იანგარიშოს, ან რანაირად შეიძლება, რომ „სანთლიანი ლოცვა" „საგზლად წაიღონ" „ღამემ და ყორანმა".

პოეტი წერს:

„ბულბულების მომხიბლავი სტვენა
ცისკარს გასჭრის, არ შერჩება ხიწვიც.
ყვავს რა უნდა, მას არა აქვს სმენა,
ფურცელს როგორ დაამშვენებს ხრინწით!"

ბულბულების სტვენის დანიშნულების ახალი გაგება: ცისკარი გასჭრას ისე, რომ მას არ შერჩეს ხიწვიც (ხიწვიანი ცისკარიც შესაძლებელი ყოფილა!).

პოეტი წერს:

„სანთლივით ანთებულან ხმები,
სანთლებს ჰგვანან თუ ყვავილებს ნუშის!
და ღვთისმშობლის წაბლისფერი თმები
იხვევიან, წრიალებენ გულში".

„სანთლივით ანთებული ხმები"; ხმები, რომლებიც „ნუშის ყვავილებს ჰგვანან"; ღვთისმშობლის წაბლისფერი თმები, რომლებიც „წრიალებენ გულში"—აი რა უცნაურ სახეებს მიმართავს პოეტი.

პოეტი დავით გურამიშვილზე ამბობს:

„მოგონებას გააცოცხლებ ბნელში,
დააყურებ მობმაური სოროს,
და წისქვილის გამოუცნობ ხვრელში,
თაგვის მსგავსი საიდუმლო სცხოვრობს".

შემდეგ:

„ღუღუნი გაუბამს მდინარეს, ნაგუბარს,
თაგვებსაც დალუპავს ხმაური სოროში".

შემდეგ:

„ერთი დოქი წყალი სდგას და ბნელი;
თაგვებს მიაქეთ შენი ლექსის ლუკმა".

შემდეგ:

„შემოდის ქაცვია,
ცხვირის ქურქი აცვია.
თაგვების საბუდარს
კენჭებით დახუთავს".

კიდევ ერთი ადგილიც:

„ნამცხვარი, ხორბალი, ქატო და მუხუდო,
ჯებირთან ძაღლი წევს ღინჯი და უკუდო.
იწყება სერობა, შენ ზიხარ მწუხარი,
ქალაღზე გადავა მდინარე მჭუხარი.
აგდია კომბალი,
ჰყიალებს ხორბალი.
წისქვილში, გრილოში
ანთებულ სტრიქონში
ხმაურობს მდინარე მოსული მწედ".

„თაგვის მსგავსი საიდუმლო", რომელიც წისქვილის „გამოუცნობ ხვრელში" ცხოვრობს, თაგვების მიერ წაღებული „ლექსების ლუკმა", მდინარის ღუღუნი, რომელიც ხმაურით სოროში თაგვებსაც დალუპავს, მწყემსი ქაცვია, რომელიც შემოდის წისქვილში და „თაგვების საბუდარს კენჭებით დახუთავს", „ქატო და მუხუდო", რომელიც „ღინჯი და უკუდო" ძაღლის გასართობად დაჭირდა პოეტს, — აი რა უაზრობას ალაპარაკებს ფორმალიზმი სიმონ ჩიქოვანს.

ნათქვამიდანაც ცხადია, თუ რა სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს „სიმღერას დავით გურამიშვილზე".

ცხადია აგრეთვე ისიც, რომ საერთოდ წიგნი „ჩემი მამული" სიმბოლიზმის, პესიმიზმის, ფორმალისტური ვარჯიშის აშკარა დაღს ატარებს.

მაგრამ ეს წიგნი, როგორც ვთქვით, 1944 წელს არის გამოსული. მას შემდეგ სიმონ ჩიქოვანმა ახალი ლექსები დაბეჭდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალიზმისაგან არც ეს ლექსებია თავისუფალი. შორს რომ არ წავიდეთ, დავასახელებთ გასულ წელს გამოქვეყნებულ ლექსების ორ ციკლს — „აფხაზეთის გზებზე" (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება", 1950 წლის 4 ივნისი) და „ქართლის გზებზე" (ჟურნალი „მნათობი" № 6, 1950 წ.). ლექსში „სოციალისტური შრომის გმირი მარგალიტა კამა" ს. ჩიქოვანი წერს:

„დატაროვდა სიმინდები,
დღეო, აღარ იბინდები!
ყანავ, ყელს რომ იღერებდი,
მოგყვა შრომის სიმღერები!
კამას ეზოს ოჯალეში
თუთის რტოზე აყოლია.
ხმა გაფრინდა ესტონეთში,
გამრჯე ქალი რა ყოფილა!
ხმა გავარდა აფხაზეთში,
კამამ ყანა გადარია.
ოჩამჩირის რაიონში
გაიკვირვა ქანთარიამ
და სთქვა: ნუ თუ მართალია?
დაო, როგორ ახველ მთაზე,
მეც ავიჭერ რაიხსტაგზე,
ძლევის დროშა ცაზე ვტყორცნე,
შენ კი ახლა გამიოცე".

სრულიად უაზროდაა ერთმანეთთან შეკოწიწებული სიტყვები და სტრიქონები: სიმინდი დატაროვებულა, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას იმასთან, რომ „დღე აღარ იბინდება"! კამას ეზოში ოჯალეში თუთის რტოს აჰყოლია, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას იმასთან, რომ ესტონეთში ხმა გავარდნილა, „გამრჯე ქალი რა ყოფილაო"! ესტონეთიდან გადმოვდივართ აფხაზეთში—აქაც ხმა გავარდნილა, „კამამ ყანა გადარიაო" და ოჩამჩირის რაიონში ეს გამკვირვებია ქანთარიას. ის კითხულობს, ნუთუ მართალია, რომ „ყანა გადარიეო", პასუხს არავის ელის და თვითონვე განაგრძობს: „დაო, როგორ ახველ მთაზე, მეც ავიჭერ რაიხსტაგზე". უაზრო, ულოგიკო ნახტომები ერთი საგნიდან მეორეზე!

ასეთი ფორმალისტური ვარჯიში, თუნდაც ლექსის თემა სრულიად ახალი და საჭირო იყოს, სარგებლობას ვერავის მოუტანს.

კიდევ ერთი მაგალითიც. პოეტი მოგვითხრობს, რომ „ოთხი მოძმე ატენის მთით, ახლაც რთველზე დასცქერს ვაზებს (მთით დასცქერს ვაზებს!) შორს ეშვება თხელი ბინდი და ოთხივე სხდება ქვაზე". შემდეგ:

„მათი მღერა ხიბლავს ქედანს,
გულს უთრთოლებს ბატკანს თითოს.
მეგობრები კლდეზე სხედან,
ქვაზე შლიან ვაზის ფოთოლს".

მართლაც, მათზე შეიძლება ითქვას, რომ მომღერლები ყოფილან — არა მარტო ქედანი მოუხიბლავთ, არამედ „თითო ბატკნის" გულიც კი აუთრთოლებიათ! აი სადამდე მიიყვანს კაცს ფორმალიზმი.

ყოველივე აქედან აშკარაა, რომ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებას ჯერ კიდევ ახასიათებს მეტად სერიოზული ნაკლოვანებანი, რომ პოეტი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად განთავისუფლებული თავისი ძველი ფორმალისტურ-ფუტურისტული ტვირთისაგან, რომ მას ჯერ კიდევ დიდი მუშაობა დასჭირდება, რათა რეალისტურად, გასაგებად წეროს და სარგებლობა მოუტანოს საბჭოთა პოეზიას. სიმონ ჩიქოვანს აქვს შესაძლებლობა განთავისუფლდეს ფორმალიზმისაგან, — ამას მოწმობს მისი ბევრი კარგი ლექსი,—და ის ამას კიდევ შეძლებს, თუ მოინდომებს.

„ცნობილი პოეტების გავლენით, — თქვა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, — სიტყვების ზედმეტ და მავნე თხზვას ზოგჯერ ეწევიან ახალგაზრდა დამწყები მწერლებიც".

სიტყვების ეს ზედმეტი და მავნე თხზვა ძლიერ აფერხებს ბევრი ახალგაზრდა მწერლის ზრდას. ამიტომ აუცილებელია მეტი ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების კრიტიკულ განხილვას, დავეხმაროთ მათ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლებაში.

ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტია ოთარ ჭილაძე, მაგრამ მის ზოგიერთ ლექსს ფორმალიზმის დაღი ატყვია.. აი, მაგალითად, მისი „ლექსები დიდულეთიდან" (ჟურნალი „მნათობი", № 9, 1950 წელი). პირველივე ლექსი ასე იწყება:

„ჩახჩქრიალებს ჯოხტნის წყალი
ქედს, ჯახველის ბუჩქებიანს,
მოჩქრიალებს, მოხტის ჩქარობს,
მოჩქრიალებს ლურჯ ქედიდან".

მოდით ახლა და გაიგეთ — „ქედს ჩახჩქრიალებს" ეს ჯოხტნის წყალი, თუ „ლურჯ ქედიდან" მოჩქრიალებს! აშკარაა, რომ ავტორს სიტყვები „ჯოხტნის წყალი", „ჯახველი" („შაშველის" ნაცვლად); „ჩახჩქრიალებს", „მოჩქრიალებს" სჭირდება ყალბად გაგებული მუსიკალობისათვის, ხოლო ლექსის შინაარსს არ უფიქრდება.

ავტორი განაგრძობს:

„სისხამდილით მოკრეფილი
ბაზრებისკენ მოდის ნებით,
მოდის ლელვი კოლექტივის
დიდრონ ავტომობილებით."

მოკრეფილ ლელვს, აი საკვირველება, ფეხი აუდგამს და „ბაზრებისაკენ მოდის ნებით". შემდეგ საკვირველება ქრება: ლელვი ნებით კი არ მოდის, არამედ „დიდრონი ავტომობილებით" მოაქვთ.

პოეტი მოგვითხრობს, რომ შებინდებისას, ჭიდაობის შემდეგ, იშლებიან გლდანელები, „იშლებიან, რომ ცისკრის ნათელს ყველა ფეხზე დახვდეს",

„რომ ჩაუხტენ კოლექტივს
ბაღებს მკრეფავ-მტვირთავებად,
რომ დაზვინონ სისხამდილით
კალოს მსხალი მზისთვალება.
რომ დაბერტყონ ციცქნა ვაშლი,
ძირს გაშალონ ფარდაგივით
და სამშობლოს დიდ ქალაქში
სიტკბო ჩადგეს ბადაგივით".

წარმოიდგინეთ ახლა „კალოს მსხალი მზისთვალება", რომელსაც სისხამდილით ზვინავენ, ან ძირს ფარდაგივით გაშლილი „ციცქნა ვაშლი"! ან კიდევ რა კავშირი აქვს „ციცქნა ვაშლის" ბერტყვას „სამშობლოს დიდ ქალაქში" ბადაგივით „სიტკბოს ჩადგომასთან?"

აი პოეტი ვენახშია.-ის ხედავს:

„ფოთლებს, შეირხევს ისრიმს,
თითქოს დამფრთხალი ბარტყია.
ისრიმს შემხმარი სისხლივით
ნახომაკალარი ატყვია.
კლერტებს ეკვრიან თავკვერის
თვალები ჩატყუპებული,
თბებიან, როგორც ბარტყები
მკერდი-მკერდ ჩახუტებული".

სრულიად უაზროდ შეკოწიწებული სტრიქონები! ჯერ-ერთი, — ისრიმს—მკვახე ყურძენს — აქვს არა ფოთლები, არამედ მარცვლები; მეორე, — ვის მოუვა აზრად შეადაროს ისრიმი დამფრთხალ ბარტყს! მესამე, — სრულიად გაუგებარია, რა არის ეს „კლერტებს მიკრული" „თავკვერის ჩატყუპებული თვალები"! — განა ეს არის ჩვენი საერთო სახალხო ენა, რომლითაც მწერალი მკითხველს უნდა ელაპარაკებოდეს?

სიმბოლისტური სახეები და უაზრო შედარებები სრულიად გაუგებარს ხდიან ახალგაზრდა პოეტ შალვა ფორჩხიძის მრავალ ლექსს. მაგალითად, ლექსში „მეც მაღალი სიტყვა მმართებს" (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1950 წლის 26 ნოემბერი) ის წერს:

„ლურჯი, ლურჯი ღრუბლებივით
დაფენილან ვენახები,
ახლაც ისევ ბარით ხელში
ვაზის ძირებს ვეხელი.
ვგრძნობ დაბინდულ ჰალებიდან
მწიფე ყურძნის სუნი მოდის,
და ირხევა ვაზის ლერწი —
ცასარტყელის ლურჯი ტოტი...

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის საგანგებო სხდომა

ბერლინი, 2 მარტი. (საქდესი). 2 მარტს ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის საგანგებო სხდომა. სესიაზე განხილულ იქნა საკითხი: „გერმანია და მშვიდობა (დამოკიდებულება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებისადმი)".

სახალხო პალატის თავმჯდომარემ იოჰანეს დიკმანმა გახსნა რა სხდომა, აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ახლანდელი მომენტისა, რომელსაც, ერთი მხრივ, ახასიათებენ ბერლინში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებული სესიის გადაწყვეტილებანი და, მეორე მხრივ, ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთა მოსამზადებელი თათბირი, რომელიც 5 მარტს იხსნება პარიზში, და განაცხადა, რომ სწორედ ახლანდელი მომენტის დიდმა მნიშვნელობამ მოაწვევინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმს ეს საგანგებო სხდომა.

შემდეგ დიკმანმა გამოაქვეყნა ტექსტები პალატის ყველა ფრაქციის მიერ შეტანილ რეზოლუციათა პროექტებისა: პარიზში ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთა მომავალი წინასწარი თათბირის შესახებ და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

რეზოლუციათა პროექტების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სახალხო პალატის ყველა ფრაქციის წარმომადგენლებმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთა მომავალ წინასწარ თათბირთან დაკავშირებით და რეზოლუცია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

პარიზში ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთა მომავალ წინასწარ თათბირთან დაკავშირებით რეზოლუციაში ნათქვამია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა დაბეჯითებით სთხოვს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალურ პარლამენტს—დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ორივე პარლამენტის ერთობლივი წინადადებანი ოთხ დიდ სახელმწიფოს, რომელთა წარმომადგენლებიც 1951 წლის 5 მარტს შეიკრიბებიან პარიზში წინასწარ თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღის წესრიგის შესამუშავებლად, იმ მიზნით, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღის წესრიგში შეტანილ იქნას გერმანიასთან 1951 წელს საზავო ხელშეკრულების დადებისათვის მზადების საკითხი. საზავო ხელშეკრულება უნდა ემყარებოდეს შემდეგ საფუძვლებს: გერმანიის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია, გერმანიის ერთიანობის აღდგენა, სამშვიდობო მიზნებისათვის თავისუფალი საგარეო ვაჭრობისა და წარმოების თავისუფალი განვითარების გარანტია, საოკუპაციო ჯარების გაყვანა საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის ერთი წლის შემდეგ.

იმის გამო, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია მთელი გერმანელი ხალხისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა მოუწოდებს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალურ პარლამენტს, რომელსაც დღემდე არ გაუცია პასუხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის 30 იანვრის მიმართვაზე, უკუაგდოს ყოველგვარი ფორმალური ეჭვი და 1951 წლის 4 მარტამდე მოგვცეს პასუხი ამ წინადადებაზე.

ამ თხოვნის გადაუდებლობა იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთა მოსამზადებელი თათბირი დაიწყება პარიზში 5 მარტს".

რეზოლუციაში, რომელიც ეხება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს, ნათქვამია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა მეტად მაღალ შეფასებას აძლევს იმ მუშაობას, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭომ გასწია ბერლინის 1951 წლის 21-26 თებერვლის სესიაზე, მუშაობას მშვიდობის, ყველა ხალხის უშიშროებისა და მათი მშვიდობიანი განვითარების საქმისათვის. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მოუწოდა ყველა კეთილი ნების ადამიანსა და ყველა ორგანიზაციას, რომელნიც მშვიდობას ესწრაფვიან, აგრესიისა და ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და ცხადყო ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთგაგების გზა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა მიესალმება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, რეზოლუციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ და გადაწყვეტილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატები სავსებით ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებებს და ვალდებულებას კისრულობენ ყოველი ღონე იხმარონ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისა და დაცვისაკენ მიმართულ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა განსაკუთრებით მიესალმება იმას, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია ასე დაწვრილებით შეეხო გერმანელი ხალხის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიღწევის შესაძლებლობის საკითხს. სახალხო პალატა ეთანხმება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო მრეწველობის აღდგენა ახალი მსოფლიო ომის უაღრესად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. იმ ხელშეკრულებათა დარღვევით, რომლებიც გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციას ითვალისწინებენ და ყველა ხალხის ნების, მათ შორის მშვიდობისმოყვარე გერმანელი ხალხის ნების უგულებელყოფით, დასავლეთ გერმანიაში კვლავ ხდება მილიტარისტული და ნაცისტური ძალების და ახალი ველური ნაციონალიზმისა და რევანშიზმის აღორძინება. ეს უშუალო საფრთხეს უქმნის მეზობელი ხალხების მშვიდობასა და უშიშროებას, აგრეთვე თვით გერმანელი ხალხის არსებობასა და მომავალს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა მადლობას უძღვნის მსოფლიო საბჭოს წევრებს იმისათვის, რომ მათ ჯეროვნად შეაფასეს გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლა და განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის მშვიდობის მომხრეთა ესენის კონგრესის მუშაობა. სახალხო პალატა განსაკუთრებით მადლობელია იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც მშვიდობისათვის მთელი საერთაშორისო მოძრაობა უწევს გერმანელი ხალხის ბრძოლას რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ბრძოლას დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის და 1951 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის. სახალხო პალატა მხარს უჭერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოთხოვნებს საერთაშორისო შეთანხმების გზით გერმანიის დემილიტარიზაციის გარანტიის შესახებ. ეს მოთხოვნა სავსებით შეესაბამება ჩვენი გერმანელი ხალხის ინტერესებსა და სურვილებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა მოუწოდებს ყველა გერმანელ ქალსა და მამაკაცს, ყველა დედას და განსაკუთრებით გერმანელ ახალგაზრდობას—გაერთიანდნენ მშვიდობის ამ დიდი და სამართლიანი მანიფესტაციის საფუძველზე და არ დაზოგონ არც ძალა, არც დრო, რათა იხსნან ხალხები აღორძინების პროცესში მყოფი გერმანული მილიტარიზმის მხრივ მშვიდობისათვის შექმნილი ახალი საფრთხის კოშმარისაგან, უზრუნველყონ ჩვენი საკუთარი ხალხის მშვიდობა, დემოკრატიული განვითარება და დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე და თანასწორუფლებიანი ხალხების ოჯახში დაბრუნება".

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირში ფასების ახალ შემცირებაზე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 3 მარტი. (საქდესი). გაზეთი „გუნჟენჟიბაო" კომენტარს უკეთებს საბჭოთა კავშირში ფასების ახალ შემცირებას და ხაზგასმით აღნიშნავს სოციალისტური სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი, იმიტომ ახორციელებს ფასების შემცირებას, რომ მისი პოლიტიკა მიმართულია მშვიდობის დაცვისაკენ. საბჭოთა კავშირში განუხრელად იზრდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება. წარმოების გადიდება და თვითღირებულების შემცირება ქმნის უდიდეს სიმდიდრეს, რომელიც ხმარდება სხვადასხვა საზოგადოებრივ საწარმოთა მშენებლობას და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

სსრ კავშირში ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას გაზეთი უპირისპირებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მშრომელთა მყიდველობითი უნარის სისტემატურ შემცირებას. კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელების მიერ შექმნილ სიმდიდრეს ომის გამჩაღებლები აგრესიული ომისათვის იყენებენ და ეს სიმდიდრე კაპიტალისტების ჯიბეში მიდის.

შანხაი, 3 მარტი (საქდესი) შანხაის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირში ფასების ახალ შემცირებას. გაზეთი „სინვენჟიბაო" მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ფასების ახალი შემცირება დამაჯერებლად ამტკიცებს სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობას კაპიტალისტურ ეკონომიკასთან შედარებით.

საბჭოთა კავშირში ფასების სისტემატური შემცირება, წერს გაზეთი, მშვიდობიანი მშენებლობის შედეგია. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იმპერიალისტური ბლოკი მიისწრაფვის გამოიყენოს ყველა გზა და საშუალება, რათა ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღდგენასა და განვითარებას. მაგრამ მთელი ეს ცდები ჩაიფუშა. ამ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ეკონომიურმა მშენებლობამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

ლაპარაკობს რა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაზე, გაზეთი წერს: ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყანა—შეერთებული შტატებიც კი ყოველდღიურად მზარდი ეკონომიური კრიზისის საფრთხეშია. მაშინ როცა კაპიტალისტური მონოპოლიები მდიდრდებიან, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ფართო მასები სულ უფრო ღატაკდებიან.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 3 მარტი (საქდესი). უნგრეთის გაზეთები სარედაქციო სტატიებს უძღვნიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ".

ფასების ახალი შემცირება, წერს გაზეთი „საბად ნეპი" სტატიაში „სტალინური ზრუნვა, სტალინური სამშვიდობო პოლიტიკა", კომუნიზმისაკენ მიმავალი საბჭოთა ხალხის ახალი გამარჯვებაა, ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის მამობრივი ზრუნვის შესანიშნავი გამოვლინებაა. ფასების შემცირება აგრეთვე სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის შესანიშნავი გამოვლინებაა. ეს დადგენილება „პრავდის" კორესპონდენტისადმი ამხანაგ სტალინის პასუხის ახალი უდავო დადასტურებაა.

ასეთი დადგენილების მიღება მხოლოდ იმ სახელმწიფოს შეეძლო, რომელსაც მშვიდობა სურს და რომელიც საკმაოდ ძლიერია, რათა მშვიდობა დაიცვას.

საბჭოთა კავშირში, წერს დასასრულ გაზეთი აშენებულია სოციალიზმი და შენდება კომუნიზმი. ის, რასაც იქ დღეს მიაღწიეს, ჩვენი მომავალია.

საბჭოთა კავშირში ფასების ახალი შემცირება, წერს გაზეთი „ნეპსავა", რაც საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებას მოწმობს, ნათლად ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა მშვიდობის საქმეს ემსახურება და სტალინის მითითებათა შესაბამისად კომუნიზმის გზით მიდის.

ომის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირში ფასების მეოთხე შემცირება, წერს გაზეთი „მადიარ ნემზეტი", მჭევრმეტყველურად ამტკიცებს სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობას კაპიტალისტურ ეკონომიკასთან შედარებით და მოწმობს ხალხის მატერიალური და კულტურული აღმავლობის უზრუნველმყოფელი ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმების კეთილ გავლენას.

ბულგარეთი

სოფია, 3 მარტი. (საქდესი). ბულგარული პრესა კვლავ ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ". მოწინავე სტატიაში სათაურით „საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ახალი გამარჯვება" გაზეთი „ტრუდი" წერს:

საბჭოთა ხალხი სამეურნეო ფრონტზე მოპოვებულ ახალ დიდ გამარჯვებას დღესასწაულობს: კვლავ შემცირდა მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები. ფასების ეს შემცირება ერთხელ კიდევ ადასტურებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის სისწორეს, რომელიც ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ხორციელდება.

ფასების ახლანდელი შემცირება, ისევე როგორც წინანდელი, ემყარება საბჭოთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიერ მიღწეულ დიდ წარმატებებს, შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. საბჭოთა კავშირში მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების მეოთხე შემცირება კვლავ ადასტურებს საბჭოთა ხალხის დიდ მშვიდობისმოყვარეობას, ხალხისა, რომელიც მთელ თავის ძალებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს ახმარს.

გაზეთი „ნაროდნა მლადეჟ" წერს, რომ სსრ კავშირში ფასების შემცირება სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მიღწეულ ახალ გამარჯვებათა შედეგია.

კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ექსპლოატირებული ხალხები, წერს შემდეგ გაზეთი, დიდი სიმპათიითა და იმედით უყურებენ დიდი საბჭოთა კავშირის ყოველ ახალ წარმატებას. ისინი კმაყოფილებითა და სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირში ფასების ახალ შემცირებას.

სსრ კავშირში სახელმწიფო საცალო ფასების შემცირება კვლავ მკაფიოდ ამტკიცებს სოციალისტური წყობილების ძლიერებასა და უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. მთელი მსოფლიოს ხალხები, მათ შორის ჩვენი ხალხიც, ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ გაზეთი, სულით და გულით მიესალმებიან მოძმე საბჭოთა კავშირის ახალ შესანიშნავ გამარჯვებას.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის 30-ე წლისთავი

ულან-ბატორი, 2 მარტი. (საქდესი). პირველ მარტს მონღოლმა ხალხმა აღნიშნა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის—თავისი ბელადისა და ორგანიზატორის 30-ე წლისთავი. საღამოს ულან-ბატორის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატულ თეატრში გაიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ულან-ბატორის საქალაქო კომიტეტის საზეიმო სხდომა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა ამ ღირსშესანიშნავ წლისთავს.

საზეიმო სხდომის მონაწილენი აღფრთოვანებით შეხვდნენ პრეზიდიუმში მარშალ ჩოიბალსანის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ცედენბალისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის სხვა წევრების გამოჩენას.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. კ. პრიხოდოვი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ძი ია-ტაი.

საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

საზეიმო სხდომაზე გამოქვეყნდა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი მისალმება:

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მივესალმებით და ვულოცავთ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას მისი 30-ე წლისთავის დღეს.

ვუსურვებთ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას შემდგომ წარმატებებს სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისა და თავისი სახელმწიფოს აყვავებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მისალმება დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საზეიმო სხდომის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ აგრეთვე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას.

მოხსენება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის 30-ე წლისთავის შესახებ გააკეთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ცედენბალმა.

„30 წლის [illegible] — თქვა მან, — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო პირველი არალეგალური რევოლუციური წრეებიდან მტკიცე, დარაზმულ და ბრძოლაში გამობრძმედილ დიდ პოლიტიკურ პარტიამდე, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ათეულ ათასობით წევრსა და კანდიდატს და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესების ნამდვილი გამომხატველი და დამცველია".

„ჩვენი სახალხო-რევოლუციური პარტიის ორგანიზატორები იყვნენ მონღოლი ხალხის გამოჩენილი შვილები და ეროვნული გმირები—უშიშარი სუხე-ბატორი და მისი ერთგული თანამებრძოლი ჩოიბალსანი".

მონღოლმა ხალხმა, თქვა ცედენბალმა, თავისი პარტიის ხელმძღვანელობით სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის მეთაურობით ისტორიული გამარჯვება მოიპოვა თავის მხაგვრელებზე 1921 წლის რევოლუციაში და მიაღწია თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. „მონღოლეთის რევოლუციის გამარჯვებაში,—თქვა ცედენბალმა,—გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ოქტომბრის რევოლუციას, რუსეთის პროლეტარიატის დახმარებასა და მხარდაჭერას და გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის დიდ ყურადღებასა და მითითებებს".

„ჩვენი პარტია,—განაგრძობს ცედენბალი,—მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ახორციელებდა მშვიდობის პოლიტიკასა და ხალხთა შორის მეგობრობას. ამის გამო ჩვენი ხალხი აქტიურად იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში, გმობს და იბრძვის ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენთან მეგობრულ განწყობილებაში მყოფი კორეელი ხალხის უდანაშაულო ბავშვთა, ქალთა და მოხუცთა სისხლსა ღვრიან".

შემდეგ ცედენბალი ამბობს, რომ, „ვდღესასწაულობთ რა ჩვენი სახელოვანი პარტიის 30-ე წლისთავს, ჩვენს თვალს მივაპყრობთ ძლევამოსილი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს—მშვიდობის დიდ მედროშეს, ჩვენი ხალხის ძვირფას მეგობარსა და მასწავლებელს".

დასასრულ ცედენბალმა ჯანმრთელობა უსურვა დიდ სტალინს, რასაც დამსწრენი მქუხარე ოვაციითა და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე მონღოლი ხალხის ბელადის ჩოიბალსანისადმი.

დასასრულ შესრულებულ იქნა პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი".

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 მარტი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 3 მარტის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები და ჩინელი მოხალისენი ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ საბრძოლო ოპერაციებს წინანდელ ხაზებზე.

ფხენიანი, 4 მარტი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 4 მარტის ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით მტკიცედ ინარჩუნებენ წინათ დაკავებულ პოზიციებს.

სეულის რაიონში მოქმედმა სახალხო არმიის ნაწილებმა სამი დღის განმავლობაში—2-დან 4 მარტამდე—ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 11 თვითმფრინავი.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 3 მარტი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რესპუბლიკის პრეზიდენტმა საფრანგეთის მთავრობის შედგენა დღეს მიანდო სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივანს გი მოლეს, რომელიც უპორტფელო მინისტრი იყო წინანდელი შემადგენლობის კაბინეტში.

გადაჭრით აღმოვფხვრათ სიმბოლიზმის ნაშთები ქართულ საბჭოთა პოეზიაში

(დასასრული)

ამეშლება ოცნებები,
კვლავ სხვა ვაზებს ვეახლები,
ეხედავ ლურჯი ღრუბლებივით
შრიალებენ ვენახები.
შრიალებენ ვენახები
ნათელ ფიქრთა მოჯარებით,
და ფოთლებზე ბდღვრიალებენ
შაბიამნის ფორაჯები.
შიგა და შიგ მწვანე მტევნებს
გარევია გიშრის თვალი,
ფრთებს იბერტყავს მწიფობისთვე
და მწიფდება მოსავალი.
მე კი ისევ ვენახში ვარ
და ოცნებით ღამეს ვათევ,
მიტომ ვშრომობ სამშობლოსთვის
მეც მაღალი სიტყვა მმართებს!"

სრულიად გაუგებარია, რისი თქმა უნდა პოეტს, რატომ არის ვენახში, რა ოცნებით ათევს ღამეებს.

„ლურჯი ღრუბელი" და ისიც მოშრიალე, ვენახი, რომელიც ღრუბლებს ჰგავს, „ვაზის ლერწი — ცისარტყელას ლურჯი ტოტი", „ნათელ ფიქრთა მოჯარებით" მოშრიალე ვენახები, მწიფობისთვე, რომელიც ფრთებს იბერტყავს და მწიფდება მოსავალი! — აი რა არარეალისტურ, გაუგებარ სახეებსა და შედარებებს გვთავაზობს პოეტი. ხედავს რა „ლურჯი ღრუბლებივით დაფენილ ვენახებს", პოეტი ბარით ხელში ეახლება ვაზის ძირს. მაშასადამე, თქვენ ფიქრობთ, რომ ის უკვე ვენახშია. მაგრამ არა: მომდევნო სტრიქონში ის ამბობს, რომ გრძნობს ყურძნის სუნს, რომელიც ქალებიდან მოდის. მაშასადამე, ის ჯერ კიდევ არ ყოფილა ჭალაში, „არ ხლებია" ვენახებს. საინტერესოა ისიც, მწიფე ყურძენში რათ უნდა პოეტს ბარი, ბარით ხომ არ უნდა დაკრიფოს ყურძენი! პოეტს ავიწყდება, რომ ზემოთ მწიფე ყურძენზე ილაპარაკა და ცოტა ქვემოთ ამბობს „მწვანე მტევნებს" შიგა და შიგ „გარევია გიშრის თვალიო". მაშასადამე, ყურძენი ჯერ კიდევ არ ყოფილა მწიფე.

აი რამდენი უცნაურობაა მოყვანილ სტრიქონებში. ყოველთვის ასეა, როცა შემოქმედს გარკვეული იდეა არა აქვს და მხოლოდ ფორმალისტურ ვარჯიშს ეწევა.

ავიღოთ ამავე ავტორის მეორე ლექსი — „წვიმაში". ის ასე იწყება:

„ეს ქარი მღერის მწყემსის სტვირივით,
და ლერწმის ღერში ეს ლექსი წივის".

ცოტა ქვემოთ ნათქვამია:

„პურის ღეროშიც ეს ლექსი წივის
და ჯეჯილივით წვიმა მასვენებს".

შემდეგ:

„პურის ღეროში რომ ლექსი წივის
ესეც ხომ ხმაა ნორჩი ჯეჯილის".

შემდეგ:

„ხან ქარი მღერის მწყემსის სტვირივით,
ხან პურის ღერში ეს ფიქრი წივის".

ასე უაზროდ „აწივლებს" პოეტი თავის ლექსს. შალვა ფორჩხიძის წიგნში „საწინდარი" (საბლიტგამი, 1950 წ.), რომელშიც შეტანილია ზემოთდასახელებული ლექსიც, გვხვდება ბევრი სხვა სრულიად უცნაური და გაუგებარი სახე, შედარება, გამოთქმა. აი ზოგიერთი მათგანი: „ვაშლის ხეებზე გადაფეთქილი სხედან კვირტები მზით დასახული" (ჯერ-ერთი, თუ გადაფეთქილია, ის კვირტიც აღარაა, მეორეც, — რას ნიშნავს „მზით დასახული" კვირტები); „მე მზისკენ ვილტვი გაჩენის აქეთ და თეთრ მწვერვალზე ავდივარ ახლაც"; ქარხნის ბაღში, თურმე, „ჭრელი ხოხობი" (ალბათ სხვანაირი ხოხობიც უნახავს პოეტს!) დიდხანს ყიოდა"; „ბაღში ხოხობი ყიოდა დიდხანს დილით ვარდებში ჩამოფრენილი"; „ბაღში ყიოდა ჭრელი ხოხობი და ხაყვირის ხმა არხევდა სივრცეს"; „და დილით ბაღში ჩამოფრენილი ჭრელი ხოხობი ისევ ყიოდა"; „ასწიეთ ფრთხილად და აბადეთ გულის სარქველი, თორემ ლექსისთვის ფხიან სიტყვას ვერ დავეწევით"; ავტომობილი „შებღავლებს ზეცას დატვირთული, როგორც მოზვერი"; „და კვლავ უსაზღვრო გუმბათივით მთებს დაემხობა თეთრ ვარსკვლავებით შეფეთქილი ზეცის სარქველი"; „ჩამწკრივებულან გზის პირას ხენი და ქარი უსტვენს ლერწმის ღერით, და ამ იდუმალ ბუნების ენით მე სიხარულის სიმღერას ვმღერი" (ქარი თუ უსტვენს „ლერწმის ღერით", რაღა იდუმალი ბუნება ყოფილა!); „ქარი გულზე დაგაწვიმებს პიტნის სურნელს"; „ვხედავ ყვავილობს ჩვენი ვენახიც, ფრთხილად ჰკენკავენ ისრიმს მტრედები" (თუ ვენახი ყვავილობს, ისრიმი საიდან გაჩნდა! ისიც წარმოუდგენელია, რომ მტრედმა ისრიმი — მკვახე ყურძენი — კენკოს); „გაზაფხულს უხმობს მწვანე კვირტები ადრე მოსული ენძელას ყელით"; „მიალაჯებენ ხარები გზაზე საავდრო ბურით რქებდანისლული"; „და გამოჰყვება ლამაზი ფური რქებზე გაბმული ნისლის ფაფარით".

ახალგაზრდა პოეტი არჩილ სულაკაური საერთოდ რეალისტურად, გასაგებად წერს, მაგრამ მის შემოქმედებაშიც ბევრი რამაა დაუსაბუთებელი, უაზრო. კრებულში „პირველი ხმები" შეტანილი ა. სულაკაურის ლექსი „გზა ქალაქისკენ" ასე იწყება:

„ფიქრებში ბევრჯერ გადამიხრია
მაღალი ზეცა და მაღალი მზე,
მე დამინახავს და მიფიქრია,
რომ სხვაა ახლა გზა ქალაქისკენ.
ყოფილა ჟამი, ყოფილა თურმე
გამათხოვრების ბოროტი გზები,
ვით ორღობეში ნაგაზი ურემს,
კაცს ბედისწერა მისდევდა უეფით".

„ფიქრებში" შესაძლებელია „მაღალი ზეცა" და „მაღალი მზე" არა მარტო გადახარო, არამედ მიწაზეც დაანარცხო, მაგრამ ასეთი „ფიქრები" რა მოსატანია ლექსში, რომელიც სავსებით რეალისტურ ამბებს შეეხება. ბუნდოვანია სტრიქონებიც — „ყოფილა ჟამი, ყოფილა თურმე გამათხოვრების ბოროტი გზები". საბჭოთა პოეტისათვის არც ისაა საამაყო, რომ ხწამდეს ბედისწერა, რომელიც თურმე კაცს მისდევს უეფით ისევე, როგორც „ორღობეში ნაგაზი" მისდევს ურემს.

ლექსში „მეათე კლასში" პოეტი ამბობს:

„ეხეთქებოდა მინებზე ქარი
და ბუბუნებდა, როგორც ლომელი,
ფრთხილად დახურეს ოთახის კარი
და დაამწყვდიეს თეთრი დუმილი".

სხვას რომ თავი დავანებოთ დუმილის „სითეთრე" ან „სიშავე" ვის გაუგონია!

ბევრი უცნაური ადგილია ამავე ავტორის პოემაში „ლაშა". აი მაგალითად:

„მატარებელი ქშენით გარბოდა
თვალგაუწვდენელ ფართო მინდვრებზე,
და ჩრდილოეთის ზეცა ამბობდა —
მზე თითებივით სხივებს იმტვრევსო..."

ძალიან უცნაური ზეცა ყოფილა ეს ჩრდილოეთის ზეცა, რომელიც ასეთ სისულელეს ამბობს.

პოემაში გვხვდება ასეთი შედარებები და სახეები: „სივრცეს ნისლივით კვამლი ეხვია, იზიდებოდა ზმორებით ზღვით"; „და ჰორიზონტზე ფერით მიმკვდარით ზეცა ეხვენა გულწახულივით"; „და ემსხვეროდა გრძნობის ჰურჭელი და ელვრებოდა ხხეულში შხამი"; „დღეები როგორც მორჩილნი ქალნი, ზამთრის გაყინულ ნებას მინებდნენ"; „ცა იყო პერანგგადახეული, ოთახებიდან ჩანდა აპრილი"; „ხედავდა სახლებს გაფანტულს შიშით, ზარდაცემულს და დაჩოქილს მუხლით".

ასეთი არარეალისტური, გაუგებარი სახეები და შედარებები ზოგიერთ სხვა ახალგაზრდა პოეტსაც აქვს.

ჩვენი მჩქეფარე სოციალისტური ცხოვრება, რომელიც უმაგალითო სისწრაფით ვითარდება, თემებისა და იდეების ამოუწურავ მარაგს აძლევს საბჭოთა მწერალს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ცხოვრებაში, სინამდვილეში ყოველთვის არის ძველი და ახალი, დრომოჭმული და პროგრესული, რომ მათ შორის ყოველთვის არის წინააღმდეგობა, ბრძოლა, რომ საბოლოო ანგარიშით ძველზე, დრომოჭმულზე ყოველთვის იმარჯვებს ახალი, მოწინავე. ბოლშევიკის ძვირფასი თვისებაა ახლის გრძნობა, ყოველივე პროგრესულისათვის მხარის დაჭერა, მისი გამარჯვების დაჩქარება. ეს თვისება უნდა ახასიათებდეს ყოველ საბჭოთა მწერალს. ამ მხრივ ბევრ ჩვენ პოეტს სერიოზული ნაკლი აქვს. მაგალითად, იმის მაგივრად, რომ ჩვენმა პოეტებმა დაინახონ სოფლის ახალი ადამიანები — ტრაქტორისტი, კომბაინერი, ელექტრიკოსი, აგრონომი, ინჟინერი, მასწავლებელი, ექიმი, ურთულეს მანქანებსა და მოწინავე აგრობიოლოგიურ მეცნიერებას დაუფლებული კადრები, საკოლმეურნეო შრომის ნიჭიერი ორგანიზატორები და სხვა და სხვა, იმის მაგივრად, რომ დაინახონ ახალი ტექნიკა, ახალი ურთიერთობა მშრომელთა შორის, — ისინი თავიანთი ლექსების თემად კვლავ ირჩევენ თოხსა და ფიწალს, ნამგალსა და ცელს, კევრით კალოს ლეწვას და ურემს, მაშასადამე, ყოველივე იმას, რაც ჩვენი ახალი, სოციალისტური სოფლისათვის ტიპიური და დამახასიათებელი არაა. იმის მაგივრად, რომ ჩვენმა პოეტებმა გვიჩვენონ საბჭოთა ეპოქის მოწინავე ადამიანების სულიერი თვისებანი, ახახონ მათი მთავარი საქმე — შემოქმედებითი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ, — ბევრი მათგანი თავის ნიჭსა და ენერგიას ახმარს სრულიად უმნიშვნელო თემებსა და საგნებზე წერას, უსარგებლო ეგზოტიკას. ისინი წერენ „ტყემლების აყვავებაზე", „ტყემლების დრომებზე", „ლოლნოშოებზე", „გუგულზე", „ატმის ყვავილებზე", „ისრიმზე", „ქია-მაიაზე" და სხვა და სხვა.

„მომაშური, ჩემო, ქია-მაია,
გამიცინე, თუ არ მომეფერები.
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ ველზე ნაირფერები".
„ღამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ღამის თავზე გადამისვას ხელი.
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტის ფერი", —

წერს ახალგაზრდა პოეტი ანა კალანდაძე.

„რამდენი ია მოსულა
— ო, განა კიდევ ომში ვარ? —
მათი ღიმილი მომშივა,
მათი სიცილი მომშივა", —

წერს ახალგაზრდა პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

„შენ რომ იქნევ მაღლა ფიწალს,
კაეტკაეტებენ მწყრის გუნდები
კაეტკაეტებენ.
იცან კარგო, ის სულელი მწყრები იცან!
ხითხითებენ, ბავშვებივით ხითხითებენ", —

წერს ახალგაზრდა პოეტი მურმან ლებანიძე.

სანამ საბჭოთა მწერალი ხელში კალამს აიღებდეს, მას ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რა მიზნის განსახორციელებლად შრომობს, რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება იმ ნაწარმოებს, რომლის შექმნაც მას განუზრახავს, რით დაეხმარება ის ჩვენი წინსვლის დაჩქარების საქმეს, კომუნიზმის გამარჯვების საქმეს. ამის დავიწყებას შეუძლია პოეტი ააცდინოს სწორ გზას და უიდეო, აპოლიტიკური პოეზიის რელსებზე შეაყენოს.

დავამთავროთ.

ქართულ პოეზიაში სიმბოლიზმის, ფორმალიზმის, უიდეობის, აპოლიტიკურობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე მთელი სიმკვეთრით დააყენა თბილისის ბოლშევიკების XX საქალაქო კონფერენციამ, უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ქართულ საბჭოთა პოეზიას, მთელ ქართულ მწერლობას სერიოზული წარმატებები აქვს. ქართულ ლიტერატურას საპატიო ადგილი უჭირავს დიდ საბჭოთა ლიტერატურაში. და მისი განვითარება კიდევ უფრო სწრაფად წავა წინ, როცა ჩვენ სავსებით აღმოვფხვრით მტრულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა გავლენის ნაშთებს, როცა უკეთესად დავეუფლებით სოციალისტური რეალიზმის სტალინურ მეთოდს.

ბ. ნანიტაშვილი

ლექცია

7 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **ოლღა სოსელიას** საჯარო ლექციას თემაზე: **„ქალი ძველ საქართველოში"**.

პარასკევს, 9 მარტს, დღის 1 საათზე გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იწვევს საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკურ თათბირს.

თათბირზე საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„ჩიო-ჩიო-სანი" (მე-10 აბ. ნ. შპილერის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის**—„ხევისბერი გოჩა"; **გრიბოედოვის სახელობის**—„უკანასკნელნი" (მე-13 აბ.); **მუსიკალური კომედიის**—„ბრწყინვალე მომავალი"; **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„მისი მეგობრები" (57-ე აბ. 7 ს.); **ხანკულტურის**—„სოკეთის ძალა".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, **„ოქტომბერი"**, **26 კომისრის სახელობის**—„გაზაფხული ყინულზე"; **„ამირანი"**—„ცეცხლი"; **„ისანი"**, **„კოლმეურნე"**—„ჩაპაევი"; **„დიდუბე"**—„კამხალი".

მეუღლე ტერეზა, შვილები ცაცა, ვერა, ქრისტეფორე, ჯაბა, რძლები ქეთო, თინა, შვილიშვილები ზურაბ, ოთარ ჯაყელები, სიძე აკაკი გაბუნია იუწყებიან **გერასიმე სიმონის-ძე ჯაყელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-III 4 ს. შრომაში (მახარაძის რ.).

მეუღლე ვასასი, შვილი ვალერიან, რძალი ნინო შვილებით: მანანა, ანზორ, ოლია სიხარულიძეები და მარო ჯიჯიეშვილი იუწყებიან **ილარიონ მიხეილის-ძე სიხარულიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-III სუფსაში (ლანჩხუთის რაიონი).

დისწულები ზაქარია, რუსუდან, ნიკო, ქეთო კრაწაშვილები, სიძეები ზ. ბერიძე შვილებით ლატავრათი და ლალით, ქ. კვაშალიშვილი, ბიძაშვილები იოსებ, ელენე ბეჟაშვილები იუწყებიან **მანანა გიორგის ასულ ბეჟაშვილი-ტურაშვილის** გარდაცვალებას.

დედა ეკატერინე, მეუღლე ნინო გედევანიშვილი-ორჯონიკიძისა, შვილები მიხეილ, ემზარ ორჯონიკიძეები იუწყებიან **იოსებ მიხეილის-ძე ორჯონიკიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-III, 8 ს. გამოსვენება 8-III, 5 ს. ო. ჭავჭავაძის, 24.

მეუღლე ნინო, შვილები ქსენია, სევერიანე, კლიმენტი, ლეონტი, რძლები შურა, მერი, რუსიკო პერტენავები, სიძე ა. სირია, შვილიშვილები ჟუჟული, ბიჭიკო, მაყვალა, თამაზ, ნუნუ, ნანი იუწყებიან **გარსევან პავლეს-ძე პერტენავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ძველ აბაშაში.

შვილები ანდრო, მანია, ლუბა, ოლია, რძალი ოლღა, სიძე შალვა ვეზირიშვილი იუწყებიან **ნინო დავითის ასულ რუხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-III, 7 ს. და 7-III, 6 ს. სამკერვალო კომბინატის პროეზქტურაში უნივერსიტეტის, 5, დაკრძალვა 8-III, 4 ს. დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რ.).

ნიკოლოზ და ტატიანა რუხაძეები შვილებით ვიქტორით და ნინოთი იუწყებიან დედის და ბებიის **ნინო დავითის ასულ რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-III, 4 ს. ს. დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რ.).

რძალი მატრონა შვილებით: ჟუჟუნა, ვანო, ტრიფონ, ზინა რუხაძეები, ფაცია გასიტაშვილი, ლეილა ბალანჩივაძე, ნიკოლოზ გეგეჭკორი, შოთა თევზაძე იუწყებიან **ნინუცა რუხაძის** გარდაცვალებას.

სოსო, შოთა და კაპიტონ გოგოლაძეები იუწყებიან **აპოლონ ნანიკოს-ძე გოგოლაძის** გარდაცვალებას.

ბებია ლიდა, დეიდები ცაცა, თამარ, ბიძა გრიშა, ბიცოლა ნინო, ბიძაშვილები ცაალა, თამაზ, ცოტნე ჯაფარიძეები იუწყებიან **ელენე ვენედიქტეს ასულ ყიფიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-III, 5 ს. მიასნიკოვის ჩიხი, 3.

მამა ნიკოლოზ, ძმები მალხაზ და თენგიზ გოგოძეები იუწყებიან **ვახტანგ ნიკოლოზის-ძე გოგოძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-III, 5 ს. მაიაკოვსკიში.

დედა ნეონილა, და მარგარიტა, დისწულები ნუნუ და გია იუწყებიან **ქეთო ვეფხვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-III, 8 ს. გამოსვენება 8-III, 5 ს. ჭავჭავაძის, 9.

მეუღლე მარიამ, შვილები ლიანა, ბორის, დედა ეფროსინე, ძმა ანთიმო ჰელიძეები, სიდედრი სიდონია, ბიკენტი, კოსტა ბუაძეები, რ. ჰელიძე იუწყებიან **ვიქტორ ბიჭიას-ძე ჰელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-III, 5 ს. იასვრის, 4.

შვილები არეთა, ამბროსი ხოშტარიები, ელიოზა ასათიანი, სიძე ა. მოსიძე, რძლები შურა, ელენე, შვილიშვილები იუწყებიან **სოფიო ივანეს ასულ ხოშტარია-ასათიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-III, 7 ს. გამოსვენება 8-III, 5½ ს. ზოოტექნიკური, 3 (ვაკე).

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01551